პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 74 (12586) | ხუთშაბათი, 28 მარტი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ყველაფერში შეასრულეთ ილიჩის ანდერძი

ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილი მოსწავლეთა საწარმოო გრიგადების წარმომადგენელთა შეკრებას

ძვირფასო ნორჩო მეგობრებო!

თითქოს გაზაფხულს გამოუგზავნიხართო, შეეკრიბენით თქვენ, ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების წარმომადგენელნი, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, რათა გაამართოთ დიდი სკაბაასი თქვენს საქმეებსა და ფიქრებზე, მომავლის გეგმებზე. გულითადად მოგესალმებით და დიდ წარიატებას გისურვებთ შეკრების მუშაობაში.

არაერთხელ შევხვედრივარ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების წევრებს, მომისმენია მათი საინტერესო ნაამბობი. ვიცი, თუ რა ენთუზიაზმით ძრომობენ სტავროპოლის მხარის, უკუბანის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის ყამირის საბჭოთა მეურნეობებისა და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა რესპუბლიკისა და ოლქის მოსწავლეთა ბრიგადები. ძალიან კარგია, რომ უკვე სკოლაში ახალგაზრდობა სწავლობს კეთილშობილურ და საპატიო შრომას სოფლის მეურნეობაში. მოსწავლეები კარგ შედეგებს აღწევენ, ზოგჯერ კი გამოცდილ ოსტატებსაც უსწრებენ. თქვენი გამოცდილება ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა აღზრდის ნამდვილი სკოლაა. აქ იზრდება ჩვენი სახელმოხვეჭილი მექანიზატორების, მეცხოველეების, სელექციონერების კარგი ცვლა.

ჩვენ მივდივართ პირდაპირი და ნათელი გზით დასახულ მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. ჩვენი წარმატებები მნიშვნელოვანია, მაგრამ არ უნდა დავკერდეთ მიღწეულს. მოგველის ბევრი შესანიშნავი და ძნელი საქმე, რაც ჩვენმა ხალხმა უნდა გააკეთოს, რათა აღაესოს კომუნისტური სიუხვის საგანძური.

უკანასკნელ წლებში ჩვენი სოფლის მეურნეობა განმტკიცდა. წლითიწლობით კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი იღებენ სულ უფრო მეტ მანქანას, ტრაქტორს, კომბაინს, ადიდებენ მოსავალს. სოფლის მშრომელნი გარემოსილი არიან პარტიის, მთელი ხალხის მუდმივი ზრუნვითა და ყურადღებით. ემზადეთ გახდეთ ღირსეული მემკვიდრენი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სიმდიდრეთა შემქმნელნი და ბატონ-პატრონნი!

ადამიანი ამშვენებს ქვეყანას. ყოველივე მშვენიერი ქვეყანად მშრომელთა ხელმა შექმნა. მიწის სიყვარული, მხვნელ-მთესველის შრომის სიყვარული ადამიანის შესანიშნავი ნიშანთვისებაა. გიყვარდეთ მიწა, ამრავლეთ მისი მადლი. გახსოვდეთ, რომ შრომა საზოგადოების კეთილდღეობისათვის ყველაზე კარგი აღმზრდელია. იბრძოლოთ კომუნიზმისათვის, მატერიალური დოვლათის სიუხვისათვის— ეს, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ თქვენი შრომით მუდამ იღებდეთ მონაწილეობას ამ დოვლათის შექმნაში. თავიანთი პატრიოტული მოვალეობის მაღალ შეგნებას ავლენენ სკოლების კურსდამთავრებულნი, რომლებიც სამუშაოდ რჩებიან მშობლიურ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაუსწრებლად განაგრძობენ სწავლას სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში და თავიანთ ცხოვრებას სამუდამოდ უკავშირებენ სოფლად მუშაობას. ყოველი ღონისძიებით უნდა დავუჭიროთ მხარი მოსწავლეთა ბრიგადების აღზრდილთა მისწრაფებას — მთელი კლასის შემადგენლობით წავიდნენ ფერმებსა და ყანებში სამუშაოდ, შექმნან კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლები და ბრიგადები.

საკოლმეურნეო ყანებს, ფერმებს მცოდნე, ქვეანი მეურნეები სჭირდება. უმეცნიერებოდ, მოწინავე გამოცდილების დაუნერგავად ახლა ვერ გავუძღვებით მეურნეობას, ვერ მოვიყვანთ უხვ მოსავალს, მოსწავლეები ბევრ საინტერესო ცდას აწარმოებენ. ეს ძალიან კარგია. თქვენ პრაქტიკულად ამოწმებთ სკოლაში მიღებულ ცოდნას, მინდა გირჩიოთ, რომ ყოველი მოსწავლეთა ბრიგადა უნდა მეგობრობდეს მეცნიერებთან, აგრონომებთან, ზოოტექნიკოსებთან, ასრულებდეს მათს რჩევა-დარიგებას, სწავლობდეს მწარმოებლურად მუშაობას. ეს ხელს შეუწყობს მათ უკეთ იშრომონ სკოლის დამთავრების შემდეგ, შექმნან მეტი პროდუქტი ხალხისათვის.

ძალიან საჭიროა, რომ ბავშვებმა ჯერ კიდევ მოსწავლეთა ბრიგადებში შეიყვარონ ტექნიკა, კარგად აითვისონ იგი და მზად იყვნენ მიუსხდნენ ტრაქტორის საჯეს, დადგნენ კომბაინის მტურვალთან. სამშობლოს კეთილდღეობისათვის შრომაში იზრდება და ვაჟკაცდება ადამიანი, იწრთობა მისი ნებისყოფა და გონება.

გაუფრთხილდით კომკავშირელისა და პიონერის სახელს, ყველაფერში შეასრულეთ ილიჩის ანდერძი. სკოლაში, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში გამოიმუშავეთ კომუნისტური ხასიათის ნიშანთვისებანი, იყავით მზად იმისათვის, რომ მიიღოთ ესტაფეტი უფროსი თაობისაგან და ღირსეულად მიიტანოთ იგი კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებამდე.

ნ. ხრუშჩოვი.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ბრიგადირთა და წევრთა სრულიად საკავშირო შეკრება

მოსკოვი, 27 მარტი. (საკდესი). დღეს პიონერთა სასახლეში ლენინის გორაზე გაიხსნა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ბრიგადირთა და წევრთა პირველი სრულიად საკავშირო შეკრება. შეკრებაზე ჩამოვიდა 750 დელეგატი ჩვენი ქვეყნის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებიდან, ოლქებიდან და მხარეებიდან.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობენ — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს წევრები, სამინისტროთა და უწყებათა ხელძღვანელი მუშაკები, პარტიულ, კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შეკრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები დ. ს. პოლიანსკი, ლ. ნ. ეფრემოვი, სახელგანთქმული უკრაინელი მხვნელ-მთესველი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. გ. ზაგლადა, სახელმოხვეჭილი მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ა. სვეტლიჩნი და სხვები.

შეკრება გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. პ. პავლოვმა. მან წაიკითხა ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილისა შეკრების მონაწილეებისადმი. დელეგატებმა მჭუხარე ოვაციით დიდი მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიას, ძვირფას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს ახალგაზრდობაზე მამობრივი ზრუნვისათვის.

მოხსენება „მოსწავლეთა ბრიგადები კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა აღზრდის სკოლაა“ გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

26 მარტს გაიმართა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს ახალი სახეობის მასალების წარმოების განვითარებასთან, აგრეთვე ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტის მშენებლობასა და რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული საკითხები. საკითხთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სახმეწინის, სსრ კავშირის მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოთა საკოორდინაციო კომიტეტის, მრეწველობის დარგობრივი სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და საწარმოებისა მუშაკებმა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის დავალების შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბიურომ განიხილა ახალი სილიკატური მასალებისა და მათი წარმოების განვითარების საჭირო პირობების შექმნის საკითხი და დაავალა მოამზადონ და წარმოადგინონ ღონისძიებანი სახალხო მეურნეობაში ამ მასალების დანერგვისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბიურომ მოისმინა ვოლგისპირეთის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სამშენებლო ორგანიზაციათა ინფორმაცია, თუ როგორ სრულდება სამძლავრეთა ამუშავების გეგმა ბალაკოვის ხელოვნური ბოჭკოს კომბინატში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მშენებლობაა, და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი იმისათვის, რომ დაწესებულ ვადაში ამუშავდეს სიმძლავრეები ამ კომბინატში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის წინადადებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ კორდის წარმოებათა რეკონსტრუქციას იმ მიზნით, რომ მათ გამოუშვან უფრო მაგარი კორდის ბოჭკო.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი დონეცკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნოვო-კრამატორსკის მანქანათსაშენებელ ქარხანაში მეტალურგიული და სამთამადნო მრეწველობისათვის საჭირო დიდწარმოებლური მოწყობილობის გამოშვების საკითხი და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, სხდომაზე განიხილეს ზოგიერთი სხვა სამეურნეო საკითხი.

ფ. რ. კოზლოვი აშხაბადში

აშხაბადი, 26 მარტი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი, რომელსაც ახლდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს თავმჯდომარე ვ. გ. ლომონოსოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ოვეზოვი, ეწვია აშხაბადის რამდენიმე საწარმოს. ვ. ი. ლენინის სახელობის მინის კომბინატში მან დაათვალიერა მინის ჭურჭლისა და მზის საფარი მინის ნიმუშების გამოფენა.

ფართოდ ცნობილია ჩინებული თურქმენული ხალიჩები. დახელოვნებულ ოსტატთა საქმიანობას. მუშათა კოლექტივს გაეცნო სტუმარი აშხაბადის ხალიჩის ფაბრიკაში.

ამხ. კოზლოვი ეწვია რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთ მშენებარე მიკრორაიონს. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დიდპანელიანი მრავალსართულიანი სახლების მშენებლობას.

აშხაბადის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „სოვეტ ტურკმენისტანიში“ ფ. რ. კოზლოვმა დაათვალიერა ამ კოლმეურნეობის მეურნეობა.

ქალთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი

27 მარტს კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა ქალთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი.

თათბირი გახსნა საბჭოთა ქალების კომიტეტის წევრმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ნ. ჯავახიშვილმა.

მოხსენება — „ქალთა როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში“ გააკეთა საქართველოს პროფესიული კავშირების საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ქალთა შორის მუშაობის კომისიის თავმჯდომარემ დ. იოსელიანმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის გამგემ პროფესორმა მ. ბოკერიამ, მოწინავე მეჩიოემ ნ. პაველიანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ და სხვ.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ მ. ელაშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი. (საკდესი).

თეატრის დღე

მოსკოვი, 27 მარტი. (საკდესი). დღეს ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება თეატრის საერთაშორისო დღე. ახალი დღესასწაული სულ ორი წლისაა — პირველად გაიმართა შარშან თეატრის მსოფლიო ინსტიტუტის მერვე კონგრესის გადაწყვეტილებით. თეატრის მსოფლიო ინსტიტუტის ფილიალები შექმნილია ყველა კონტინენტზე. თითქმის ყველა ქვეყანაში. ეს დღე ეწყობა. დღევიზით, რომელზეც დაფუძნებულია ინსტიტუტის მთელი საქმიანობა, — „თეატრი ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობისა“.

მცურავი გადამტვირთავი

წყალში ჩაუშვეს და პირველი გამოცდები გაიარა რსფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროს ცენტრალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს მოსკოვის საექსპერიმენტო ქარხანაში აგებულმა ახალმა მცურავმა პნევმატურმა ორკოშკიანმა ცემენტგადამტვირთავმა. მას შეუძლია საათში გემიდან ნაპირზე ან რკინიგზის ვაგონებში გადატვირთოს 200 ტონა ცემენტი. არსებულ ერთკოშკიან მცურავ პნევმატურ ცემენტგადამტვირთავთან შედარებით ახალი გადამტვირთავი შესაძლებლობას იძლევა ერთი ტონა ცემენტის გადატვირთვის თვითღირებულება შემცირებულ იქნას 30 პროცენტით.



• • •

სურათზე: მცურავი პნევმატური ორკოშკიანი ცემენტგადამტვირთავი ქარხნის ტერიტორიაზე.

ფოტო კ. მუსტაფინისა. (საკდესის ფოტოკრონიკა).

მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გაფართოებული კლენუმი

მოსკოვი, 26 მარტი. (საკდესი). მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტაშკენტის გამოჩენილი სიტყვის ოსტატები, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნული რესპუბლიკის მწერლები შეიკრიბენენ დღეს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში, სადაც გაიხსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი. პლენუმი განიხილავს საკითხს „საბჭოთა ლიტერატურის მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის“.

პლენუმი გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა კ. ა. ფედინმა. თავის შესავალ სიტყვაში მან აღძრა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხება ლიტერატორთა შემოქმედებასა და მწერალთა კავშირის საქმიანობას.

— კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა შეხვედრებმა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, — თქვა კ. ა. ფედინმა, — გულმხურვალე გამოხმაურება პოვეს ყველა რესპუბლიკაში, მთელ საბჭოთა კავშირში.

კ. ა. ფედინმა ილაპარაკა საბჭოთა მწერლის მაღალ მისიაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურამ იმთავითვე შეასრულა საზოგადოებაში ხელოვნების აღმზრდელობითი როლი. იგი მუშაობდა და იმუშავებს ადამიანის, იმ ახალი ადამიანის საკეთილდღეოდ, რომელსაც დაიკუნა ქვეყნად ოქტომბერმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. თ. ილიჩოვი.

პ. პ. ვერშიგორას ხსოვნისათვის

27 მარტს 58 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი საბჭოთა მწერალი, საბჭოთა კავშირის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **პეტრე პეტრეს-ძე ვერშიგორა.** იგი გარდაიცვალა მოლდავეთში, სადაც ყოველ წელს მიემგზავრებოდა სამუშაოდ.

საბჭოთა ხალხი პ. პ. ვერშიგორას იცნობს არა მარტო როგორც ავტორს პოპულარული წიგნისა „სუფთა სინდისის ადამიანები“, არამედ როგორც მამაც მზვერავსა და პარტიზანული რაზმის მეთაურს, რომელიც გმირულად იბრძოდა სამშობლოსათვის ჰიტლერელ დამპყრობთა ზურგში. (საკდესი).

მოსკოვი საერთაშორისო ავტობუსი

ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲗ ᲞᲠᲝᲒᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲖᲚᲕᲐᲨᲘ

მიმდინარე წლის 27 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმასთან დაკავშირებით, რომ სროლა აუტეხეს საბჭოთა სავაჭრო გემს „ლგოვს“, ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის საპროტესტო ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო საბჭოთა მთავრობის დავალებით აცხადებს შემდეგს.

ამა წლის 17 მარტს ღამით საბჭოთა სავაჭრო გემს „ლგოვს“, რომელიც კუბის ნავსადგურ ისაბელა-ლა-საგუაში იყოფებოდა, სროლა აუტეხეს კატარღიდან, რომელიც მიუახლოვდა გემს ზღვის მხრიდან. გემს რამდენჯერმე დაუშინეს დიდკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ცეცხლი.

19 მარტს კუბის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციათა მეთაურებმა თავიანთ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში გაიმართა, განაცხადეს, რომ საბჭოთა გემს სროლა აუტეხა მათმა ჯგუფმა. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ შეერთებული შტატები ხელს არ უშლიან კონტრრევოლუციონერთა ასეთ საქმიანობას და რომ ეს ჯგუფები განაგრძობენ ასეთ თავდასხმებს.

იმავე დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც არ უარყოფს თვით ფაქტს, რომ კუბელმა კონტრრევოლუციონერებმა სროლა აუტეხეს საბჭოთა გემს, და ამასთანავე არა თუ არ დაგმო ასეთი პროვოკაციები კარიბის ზღვის რაიონში, არამედ გააკეთა განცხადებანი, რომლებიც არსებითად აქეზებენ ამ ბანდიტურ მოქმედებას.

განა ცხადი არ არის, რომ კუბელი ხალხის მოღალატეთა ჯგუფი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე პოვა თავშესაფარი, ვერ განახორციელებდა ამგვარ პროვოკაციებს, მატერიალურ მხარდაჭერას რომ არ უწევდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და რომ არ იღებდეს ამერიკულ იარაღსა და გემებს. ის, რომ კონტრრევოლუციურ ჯგუფებს შეერთებული შტატები აფინანსებენ და რომ ისინი მათი სრული მფარველობით სარგებლობენ, მრავალგზის აღიარეს ოფიციალურმა ამერიკელმა პირებმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელნიც თავიანთ ტერიტორიასა და მატერიალურ სახსრებს აძლევდნენ კუბელ კონტრრევოლუციონერებს კუბის რესპუბლიკაზე მეკობრული თავდასხმების ორგანიზაციისათვის, ფაქტიურად საქმე იქოთკენ მიპყავთ, რომ გამოიწვიონ ვითარების საშიში გაფუჭება კარიბის ზღვის რაიონში და მთელ მსოფლიოში.

სავსებით ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა კუბელ კონტრრევოლუციონერთა მოქმედებისათვის, აგრეთვე საბჭოთა გემ „ლგოვზე“ თავდასხმისთვისაც. ასეთი მოქმედების წაქეზება, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები მიმართავენ, არა მარტო უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის საერთოდ აღიარებულ ნორმებს ნაოსნობის თავისუფლების შესახებ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად პრინციპებს, არამედ ეწინააღმდეგება კიდევაც შეთანხმებას, რომელიც მიღწეულია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შორის კარიბის ზღვის რაიონის კრიზისის მოწესრიგების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას საბჭოთა გემ „ლგოვზე“ მეკობრული თავდასხმის გამო და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს გადამწყვეტ ღონისძიებებს, რათა აღარ განმეორდეს მსგავსი პროვოკაციული მოქმედება მომავალში.

მოსკოვი, 1963 წლის 27 მარტი“.

ᲨᲔᲤᲧᲓᲔᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲖᲚᲕᲐᲨᲘ

საპროტესტო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

თუ არ დაგმო ასეთი პროვოკაციები კარიბის ზღვის რაიონში, არამედ გააკეთა განცხადებანი, რომლებიც არსებითად აქეზებენ ამ ბანდიტურ მოქმედებას.

განა ცხადი არ არის, რომ კუბელი ხალხის მოღალატეთა ჯგუფი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე პოვა თავშესაფარი, ვერ განახორციელებდა ამგვარ პროვოკაციებს, მატერიალურ მხარდაჭერას რომ არ უწევდეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და რომ არ იღებდეს ამერიკულ იარაღსა და გემებს. ის, რომ კონტრრევოლუციურ ჯგუფებს შეერთებული შტატები აფინანსებენ და რომ ისინი მათი სრული მფარველობით სარგებლობენ, მრავალგზის აღიარეს ოფიციალურმა ამერიკელმა პირებმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელნიც თავიანთ ტერიტორიასა და მატერიალურ სახსრებს აძლევდნენ კუბელ კონტრრევოლუციონერებს კუბის რესპუბლიკაზე მეკობრული თავდასხმების ორგანიზაციისათვის, ფაქტიურად საქმე ოქოთკენ მიპყავთ, რომ გამოიწვიონ ვითარების საშიში გაფუჭება კარიბის ზღვის რაიონში და მთელ მსოფლიოში.

სავსებით ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა კუბელ კონტრრევოლუციონერთა მოქმედებისათვის, აგრეთვე საბჭოთა გემ „ლგოვზე“ თავდასხმისთვისაც. ასეთი მოქმედების წაქეზება, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები მიმართავენ, არა მარტო უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის საერთოდ აღიარებულ ნორმებს ნაოსნობის თავისუფლების შესახებ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად პრინციპებს, არამედ ეწინააღმდეგება კიდევაც შეთანხმებას, რომელიც მიღწეულია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შორის კარიბის ზღვის რაიონის კრიზისის მოწესრიგების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას საბჭოთა გემ „ლგოვზე“ მეკობრული თავდასხმის გამო და მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს გადამწყვეტ ღონისძიებებს, რათა აღარ განმეორდეს მსგავსი პროვოკაციული მოქმედება მომავალში.

მოსკოვი, 1963 წლის 27 მარტი“.

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პარიზი. 26 მარტი. (საკდესი). დღეს პარიზის სასტუმრო „ლუტეციაში“ საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა ასტრონავტიკის დარგის „გალაბერის პრემიის“ ქიურის გადაწყვეტილება. ეს პრემია, რომელიც თვალსაჩინო ფრანგმა მრეწველმა ანრი გალაბერმა დააწესა 1957 წელს, ყოველწლიურად ენიჭება „დიდი წვლილისათვის ასტრონავტიკის განვითარებაში“. მიმდინარე წელს ქიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, ჟურნალისტები, მეცნიერი კომენტატორები, „გალაბერის პრემია“ მიაკუთვნა საბჭოთა კოსმონავტ მფრინავს იური გაგარინს, ამერიკელ კოსმონავტ მფრინავს ჯონ გლენს, საბჭოთა მეცნიერებს ალა მასევიჩსა და ა შტერნფელდს, რომლებიც ასტრონომიისა და ასტრონავტიკის საკითხებზე მუშაობენ, ფრანგ ინჟინერს ჟან-ჟაკ ბარეს. აგრეთვე წახალისების წესით — ასტრონავტიკული კლუბის საერთაშორისო კლუბს...

პრემიები მიმდინარე წლის შემოდგომაზე გადაიცემა საერთაშორისო ასტრონავტიკულ კონგრესზე პარიზში.

ᲙᲣᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ

ჰავანა, 27 მარტი. (საკდესი). **კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა მოაწერა ბის სახლში მიიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერები, რომლებიც აქ იმყოფებიან. პრეზიდენტმა დორტიკოსმა და საბჭოთა მეცნიერებმა სეისმოლოგმა დ. კირნოსმა, მეტეოროლოგმა ნ. რუსინმა და ბიოლოგმა ე. გურიანოვამ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოები კუბაში და როგორ თანამშრომლობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და კუბის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა განხორციელების დარგში.**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲖᲠᲗᲐ ᲒᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ვაშინგტონი, 27 მარტი. (საკდესი). გუშინ აა განსახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის საზავო მოწესრიგებასთან. სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დ. რასკს.

აზრთა გაზიარება გაგრძელდება.

ᲞᲠᲘᲜᲪ ᲜᲝᲠᲝᲓᲝᲛ ᲡᲘᲐᲜᲣᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პნომ-პენი, 26 მარტი. (საკდესი). როგორც ღღეს ცხადერ პრესის საგენტო იუწყება, პრინცმა ნოროდომ სიანუკმა გუშინ სიტყვა წარმოთქვა პარლამენტისა და მთავრობის წევრთა წინაშე და აღნიშნა, რომ ნოროდომ კანტოლის მთავრობა, რომელიც ხელისუფლების სათავეშია, აგრეთვე პარლამენტი განაგრძობენ საქმიანობას.

თავის გამოსვლაში პრინცმა ნოროდომ სიანუკმა შემდეგ აღნიშნა, რომ საჭიროა კამბოჯის ინდუსტრიალიზაცია. მან ამ მიზნით წინადადება წამოაყენა აშენდეს ახალი საფეიერო ფაბრიკა, ჯუთის ფაბრიკა, ნავთობსაწმენდი ქარხანა, ჰიდროელ-სიანუკვილის რკინიგზა და მთელი რიგი სხვა ობიექტები.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲙᲣᲩᲔᲑᲨᲘ

სტამბოლი, 26 მარტი. (საკდესი). დღეს სტამბოლში კვლავ იმართება სტუდენტთა მრავალათასიანი დემონსტრაციები. ამ დემონსტრაციებით თურქი ახალგაზრდობა უპასუხებს თურქეთის ყოფილი პრეზიდენტის ჯელალ ბაიარლის დროებით განთავისუფლებას საპყრობილიდან, მის შეურაცხყოფელ განცხადებას უმაღლესი სასამართლოს მიმართ, რომელმაც 1961 წელს იასიადას კუნძულზე გაასამართლა ბაიარ-მენდერესის ხროვის წევრები. „სამართლიანობის პარტიის“ იმ დაუცხრომელ ცდებს, რომ მიღწეული წინანდელი რეჟიმის ყველა მოღვაწის განთავისუფლებას და ხელი იგდოს ძალაუფლება.

იმ მომენტში, როცა სტამბოლში, ანკარასა და იზმირში მიმდინარეობს ახალგაზრდობის დემონსტრაციები, და როცა ზოგან იმართება შეტაკებანი დემონსტრანტებსა და „სამართლიანობის პარტიის“ მომხრეებს (არსებითად ამჟამად აკრძალული მენდერესის დემოკრატიული პარტიის მომხრეებს) შორის, თურქეთის პარლამენტში პრემიერ-მინისტრი ინენიუ ამაოდ მოუწოდებდა „სამართლიანობის პარტიის“ წარმომადგენლებს, რომ გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალებისადმი და ჩამოეყალიბებინათ თავიანთი პარტიის პროგრამა იმ შემთხვევისათვის, თუ ხელი იგდებენ ძალაუფლებას.

დასასრულ ისმეთ ინენიუმ განაცხადა, რომ თურქეთი აღმოჩნდა ანარქიის ზღვრტბეზე და რომ ასეთი მდგომარეობა ვეღარ გაგრძელდება.

ᲞᲔᲠᲞᲔᲢᲣᲣᲛ-ᲐᲢᲝᲛᲘ ᲛᲝᲒᲘᲚᲔ

იმ მილების გარშემო ატეხილი სკანდალური ამბავი, რომლების მიწოდებაზე საბჭოთა კავშირისათვის უარს ამბობს ბონი, რათა ვაშინგტონს აამოს, საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველ წრეებს. გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდში“ მხატვარი შრადე ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რეს-



**პუბლიკის ურთიერთობას ხატავს როგორც მხედრისა და ცხენის თანამშრომლობას. ცხენი ეტანება სანუკვარ მისატაცებელს, მის ცხვირწინ რომ გაუწვდია მხედარს. რა თქმა უნდა, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლ

პარტიული ქრონიკა

თეორიული კონფერენცია

ბათუმი. (საკ. კორ.). პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა და გაზეთი „ზარია ვოსტოკას“ რედაქციამ ამ დღეებში მოაწყეს თეორიული კონფერენცია თემაზე: „საზოგადოებრივი და პირადი“. კონფერენცია გაიმართა საქართველოს კპ აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლში. მოხსენებით გამოვიდა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ბორიკი. მან ილაპარაკა ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის საკითხებზე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. კილაძემ, ბათუმის გემთსაშენებლო ქარხნის დირექტორმა პ. ჯორბენაძემ, ქ. ბათუმის პროკურორმა ტ. ცინცაძემ, კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ნინუამ, მანქანათსაშენებლო ქარხნის ზეინკალთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ჯაშმა და სხვ.

თეორიულ კონფერენციას ესწრებოდნენ ქ. ბათუმის საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროპაგანდისტები, იდეოლოგიური დარგის მუშაკები.

კონფერენციის შემდეგ ნაჩვენები იქნა კინოჟურნალი „პატრუქი“.

კონტროლი მოქმედებს

ჭიათურა. (საკ. კორ.). გაიმართა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელი ჯგუფის ბიუროების თავმჯდომარეების, ჯგუფების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეებისა და საგუშაგოთა უფროსების თათბირ-სემინარი. მათი უფლება-მოვალეობისა და პრაქტიკული მუშაობის მოწყობის თაობაზე მოხსენებით გამოვიდა ქალაქ ჭიათურის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ო. გოგატიშვილი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ა. ღუღუნიშვილმა, ა. მეკეხოვრიშვილმა, პ. ფალავანდიშვილმა, ვ. დოლიძემ, ტ. მირონაძემ და სხვებმა. თათბირ-სემინარზე ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები უკვე მოქმედებენ.

პარტიული ცხოვრება

ასე ინერგება ახალი, პროგრესული

წარმოების კულტურის ამაღლების, საწარმოს ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის, პარტბიუროს, კომუნისტების ყოველდღიური საზრუნავია. საამქროთა პარტიული ორგანიზაციები კრებებზე ხშირად მსჯელობენ იმაზე, თუ რა გაკეთდა ახლის, პროგრესულის დაასენერგავად და რა უშლის ხელს მათს დამკვიდრებას.

ერთხანს ქარხანაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა დაფქვის საამქრო კლინკერის ნაკლებობას განიცდიდა. მაშინ წისქვილის მემანქანეები მოთმოხოვდნენ — კლინკერი მოგვაშველეთო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქარხანაში საკუთარი ძალებითა და საშუალებებით 127 მეტრი სიგრძის მეთოხე მბრუნავი ღუმელი დამონტაჟდა და ამუშავდა, ვითარება შეიცვალა. დაფქვის საამქროს კლინკერი საკმარისი ჰქონდა. დღის წესრიგში დადგა ამ საამქროში მეექვსე წისქვილის მშენებლობის ამოცანა. ეს საკითხი სპეციალურად განვიხილეთ ქარხნის პარტიული ბიუროს სხდომაზე. ახალი წისქვილის დადგმის აუცილებლობაზე ფართოდ ვიმსჯელეთ. საქმიანი წინადადება წამოაყენა ახალი ტექნიკის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის კონტროლის კომისიამ, რომელსაც ტარასპორტის საამქროს უფროსი, ინჟინერი ო. კოეზრიძე ხელმძღვანელობს.

ცემენტს წისქვილის დადგმა-მონტაჟი ბევრ სიანელესთან იყო დაკავშირებული. ამ დიდი აგრეგატის დასამონტაჟებლად ამწე-მექანიზმები ადგილზე უნდა დამზადებულიყო. ასეც მოხდა. საკუთარი ძალებითა და საშუალებებით შექმნილ იქნა ამწე-მექანიზმები, რომელთა საშუალებით უზრუნველყოფილ იქნა წისქვილის დროზე დამონტაჟება და საექსპლოატაციოდ გადაცემა. ახალი წისქვილის ამუშავებით 20-25 პროცენტით გაიზარდა ცემენტის გამოშვება.

— არ შეიძლება წისქვილების გამოყენების კოეფიციენტის გაზრდა? — ამ საკითხზე ხშირად ყოფილა ლაპარაკი. სიტყვა ქარხნის რაციონალიზატორებს უნდა ეთქვათ და თქვეს კიდეც. წისქვილების გამოყენების კოეფიციენტი დიდად გაიზრდებოდა და ამასთან მიღწეულ იქნებოდა ელექტროენერგიის ეკონომია, თუ ასინქრონული ძრავები სინქრონულით შეიცვლებოდა. ახლა ეს რაციონალიზატორული წინადადება დანერგილია ცემენტის ყველა წისქვილზე და ინერგება ნედლეულის წისქვილებზეც.

უკანასკნელ წლებში შიფერის საამქრო ვერ ასრულებდა პროდუქციის გამოშვების გეგმას, დაბალი იყო ხარისხი. პარტიულმა ბიურომ შეისწავლა ამის გამომწვევი მიზეზები და იმსჯელა თავის სხდომაზე. ბიუროზე საკითხის განხილვის შემდეგ ქარხნის დირექციამ საერო ღონისძიებები განახორციელა. ყურადღება მიექცა იმას, რომ ზუსტად ყოფილიყო დაცული შიფერის საამქროსათვის გამოშვებული ცემენტის მარკიანობა. ამან საქმეს უშველა. გაული წლის მეორე ნახევრიდან შიფერის საამქრო შეუფერხებლად მუშაობს.

ახლო ურთიერთობა და მეგობრობა აქვს ქარხნის კოლექტივს საშენ მასალათა და სილიკატების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან, რომელსაც პროფესორი კ. ქუთათელაძე ხელმძღვანელობს. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები ქარხნის კოლექტივთან ერთად დიდ სასარგებლო მუშაობას ეწევიან ცემენტის მარკიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკების რჩევით კირქვაში, როგორც დანამატს, ვურევთ რკინის ქანს, რითაც მნიშვნელოვნად გავზარდეთ ცემენტის მარკიანობა. თუ შარშანწინ ქარხანაში ცემენტის საშუალო მარკა 380-398-ს არ აღემატებოდა, შარშან ის 410-მდე ავიდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 405-სა. წელს ცემენტის მარკა კიდევ უფრო გაიზარდა. იანვარში ცემენტის მარკამ 416-ს მიაღწია.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობენ კუთაისის ავტოქარხნის თბოელექტროსადგურის ნარჩენას — ნაცრის ცემენტის ნედლეულის დანამატად გამოყენების საკითხზე. პირველი ლაბორატორიული ცდები შედეგიანია. უახლოეს ხანში დაიწყება მისი საქარხნო გამოცდა.

სასარგებლო საქმე გაკეთა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, როცა ამას წინათ, ქარხანაში ჩვენი კოლექტივის მოწაფეობით ჩაატარა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ცემენტის მარკიანობის გადიდების ღონისძიებათა საკითხისადმი. ასეთი სამეცნიერო სესიები მომავალშიც ხშირად მოეწყობა საწარმოში.

ქარხანაში არიან წარმოების ნოვატორები, რაციონალიზატორები, რომლებიც სახელსა და დიდებას უხვეჭენ მთელ კოლექტივს, ფართოდ ეღებენ კარს ახალს, პროგრესულს. ესენი არიან: გამოწვის საამქროს უფროსი ა. ნერეზენკო, ნედლეულის საამქროს მექანიკოსი ნ. მესხი, შიფერის საამქროს უფროსი თ. ალიბეგაშვილი, ამავე საამქროს ზეინკალი ს. ნორსოიანი, მემანქანე ა. სუხანშვილი; ცვლის უფროსები: ს. ხარაზიშვილი და დ. ბაკურაძე, წიდაბლოკების საამქროს მუშები ზ. მერებაშვილი, თ. ბენტური და სხვები, რომელთა წინადადებებით დანერგილმა სიახლემ შარშან დიდი ეკონომიური ეფექტი მისცა ქარხანას. სულ გასულ წელს ქარხანაში რაციონალიზატორული წინადადებებით მიღებულმა ეკონომიამ 216 ათას მანეთს გადააჭარბა, მაშინ როცა გეგმა 50 ათას მანეთს ითვალისწინებდა.

ნაკისრი ვალდებულების მიხედვით 1959-1965 წლებში შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში უნდა შეგვეტანა 300 ათასი მანეთი. ეს ვალდებულება უკვე შარშან გავანაღდეთ. შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია 519 ათას მანეთზე მეტი.

ქარხნის მუშაობის „ვიწრო“ ადგილს წარმოადგენს ცემენტის დანაკარგებთან ბრძოლა. ამ ბრძოლის სისუსტე საგსებით აშკარაა. მბრუნავ ღუმელებზე ელექტროფილტრების უქონლობის გამო დღეღამეში ასობით ტონა ცემენტი იკარგება. ელექტროფილტრები აუცილებლად უნდა მოეწყოს. ამით დიდად შემცირდება ცემენტის დანაკარგები. საჭიროა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ ცემენტის ქარხანას ამ საქმისათვის საჭირო თანხები გამოუყოს.

მთლიანად გამოვიყენებთ წარმოების შინაგან რეზერვებს და საშუალებებს, გავადიდებთ მოწყობილობის მუშაობის ხანგრძლივობას, ფართოდ დავნერგავთ საწარმოო პროცესების მოწინავე ტექნოლოგიას, მექანიზაციას და ავტომატიზაციას. ამ მიზნით დავაჩქარებთ მშენებლობას და უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადავცემთ ზხალ, 8 ათასი ტონა ტევადობის ცემენტის სასილოსე აუზებს, მეორე საპაერო-საბადგირო გზას — კავთისხევის კარიერიდან კასპამდე.

პარტიული ორგანოების სტრუქტურის საწარმოო პრინციპის მიხედვით აგება, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებით განხორციელდა, შესაძლებლობას იძლევა პარტიულმა კომიტეტმა მთავარი ყურადღება მიაქციოს საწარმოო საკითხებს.

პარტიული ორგანოების გარდაქმნამდე პარტიის რაიონული კომიტეტი ერთნაირად მუშაობდა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის საკითხებზე. პრაქტიკაში კი მისი მუშაკები ხშირად იძულებულნი იყვნენ ხელი მოეკიდათ ხან ერთი, ხან მეორე საქმისათვის, რაც იწვევდა კამპანიურობას პარტიულ ხელმძღვანელობაში. ცხოვრებამ ცხადყო, რომ პარტიული ორგანოების მაშინდელი სტრუქტურა აღარ შეესაბამებოდა განვითარების თანამედროვე ამოცანას.

პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნიდან მოკლე დრო გავიდა. მიუხედავად ამისა, უკვე შეიძლება მის სიკეთეზე ლაპარაკი. ახლა კასპის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მუშაკები ჩვენი ქარხნის ხშირი სტუმრები არიან. ისინი ყოველდღიური მუშაობით აქტიურ დახმარებას გვიწევენ შინაგანი რეზერვებისა და საშუალებათა ამოქმედებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაში. პარტიული კომიტეტის ბიუროს სხდომებზე ხშირად იხილავენ ქარხნის საქმიანობის ავ-კარგს. სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის დახმარებითა და მხარდაჭერით შიფერის საამქროს კომუნისტებმა კარგ საქმეს მოკიდეს ხელი. კომუნისტების თაოსნობით დაიწყო შიფერის მეოთხე მანქანის დადგმა. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას [illegible] ... 20 პროცენტამდე გაიზრდება.

სამრეწველო-საწარმოო პარტიულმა კომიტეტმა სპეციალურად იმსჯელა ცემენტის ხარისხზე. ამ საკითხს მიეძღვნა პარტიული კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა ქარხანაში.

პარტიულმა კომიტეტმა საქმიანი დახმარება გაგვიწია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და წარმოების კულტურის ამაღლების საქმეში. მდგომარეობის დეტალურად შესწავლითა და საქმეში ენერგიული ჩრევით დაწყებულ იქნა 36-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ბრძოლა მთელი ძალით მმართველობენ. ცემენტის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია თავის წვლილს შეიტანს პარტიის ამ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

ჯ. ზაბახიძე,
კასპის ცემენტის ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი.

პარტიული ბიუროს მდივანი გვიგზიარებს გამოცდილებას

„ქინძმარაულის“ ზვრებში

ათი წლის წინათ ყვარლის საბჭოთა მეურნეობას ორასი ჰექტარი ვენახი ჰქონდა და ისიც გამეჩხერებული. საშუალოდ ჰექტარზე 20-30 ცენტნერ ყურძენს იღებდნენ. აი მაშინდელი ავლადიდება. გასული წლის ბალანსში ხუთასი ჰექტარი ვენახი ჩაიწერა. „ქინძმარაულისათვის“ შემოდგომაზე 125 ჰექტარი საფერავი გავაშენეთ.

ზვრების ფართობის გადიდება კარგი საქმეა. მაგრამ მთავარია მატულობდეს ყურძნის მოსავლიანობა. არც ამ საქმეში მოვიკოჭლებთ. შარშან გეგმით ჰექტარზე 51 ცენტნერი ყურძენი უნდა მიგვეღო. ფაქტიურად 56 ცენტნერს გადავეჭარბეთ. სამოცი ცენტნერი ჰექტარზე — ეს წელს ვიკისრეთ.

მეურნეობის კოლექტივი ძალღონის დაუზოგავად შრომობს, ვენახების მწკრივთა შორის ბარვა კარგა ხნის წინათ დავამთავრეთ. სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ ზვრებს ათეულ ათასობით ძირი ვაზი შევმატეთ. გასხვლა აგროვადებში დავამთავრეთ. სარმავთულიც შევაკეთეთ.

ახალგაზრდა აგრონომი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოთარ კუწიაშვილი აგრონომებს ხელმძღვანელობდა. ველისციხელი სპეციალისტების თაოსნობის პასუხად პირველმა ითავა ბრიგადას ჩახდგომოდა სათავეში. მისი ბრიგადის ვენახები მთელ მეურნეობაში გამოირჩევა.

თ. გუჯიაშვილი,
ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ეს დღეები კაპროლაქტამის მუშაკებზე

კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობამ რუსთავში საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. მშენებელი ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა მაისში სამშობლოს მისცენ ქართული კაპროლაქტამი. მშენებლობის ტემპი ყოველდღიურად ძლიერდება. აქ ბევრია მოწინავე ადამიანი, რომელნიც გულმხურვალედ ეკიდებიან „დიდი ქიმიის“ ამ მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობას, თავიანთ ენერგიასა და მდიდარ გამოცდილებას ახმარენ ამ დიდ საქმეს.

სურათზე: კაპროლაქტამის საწარმოს ამონიუმის სულფატის საამქროს ცვლის უფროსი ლ. ჩარკვიანი (მარცხნივ), ლაბორანტი ც. დათუნაშვილი და შეაპარატე ლ. გელაშვილი ეცნობიან საამქროს ტექნოლოგიურ სქემას.

„ინჭინრის მოვალეობა და ღირსება“

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მთავარს — შრომისა და მასალების ნაკლები დანახარჯებით გამოვუშვათ მეტი პროდუქცია. ამისათვის კი საჭიროა ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ დანერგვა-გამოყენება. ამ კეთილშობილური საქმისათვის დაუღალავი ზრუნვა და პატიოსანი შრომა ყოველი ინჟინრის პირველი რიგის საქმეა. წარმოების სათავეში მდგომი ინჟინრის უპირველესი მოვალეობაა მუდმივად ზრუნავდეს პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების, შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებაზე, წარმოების ტექნიკურასა და მუშათა მორმის გაიოლებაზე.

ჭიათურაში ბევრი საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე და ახლის მაძიებელი ინჟინერი მუშაობს. მათ მაღლა უჭირავთ საბჭოთა ინჟინრის სახელი და ღირსება. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ინჟინრები, რომლებიც არ იჩენენ ინიციატივას, არ ეძებენ ახალ რეზერვებს, არ ზრუნავენ ტექნიკური აზრის წინსვლისა და საკუთარი ტექნიკურ-კულტურული ჰორიზონტის გაფართოებისათვის. ამით ისინი ამცირებენ ინჟინრის წამყვან როლს წარმოებაში. არის შემთხვევები, როცა საწარმოო დაკალების შეუსრულებლობა, ან წუნდებული პროდუქციის გამოშვება შედეგია ხელმძღვანელი ინჟინრის თავისი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო და გულგრილი დამოკიდებულებისა.

ყოველი სამთო ინჟინრისათვის ცნობილია, რომ მაღაროში მუშაობისას პასპორტების შედგენა-დაცვა უსაშიშო და ნორმალური მუშაობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მაგრამ მაღაროებისა და უბნების ხელმძღვანელი ინჟინრები მუშაობის პასპორტების შედგენას ხშირად ივიწყებენ და მიწისქვეშა გამონამუშევრებს თვეობით უპასპორტოდ ამუშავებენ. ხშირად, როცა წესიერი მუშაობის ყველა პირობაა, გამონამუშევრების გადამაგრებას პასპორტების დარღვევით აწარმოებენ. გამონამუშევრებისა და კერძოდ ლავების უხარისხო გადამაგრებით მარტო ლენინის სახელობის მაღაროში უკანასკნელ სამ წელს ლავები 60-ჯერ დაინგრა, რითაც მადნის გამოღება 38 ათასამდე ტონით შემცირდა. მტნაკლებად მსგავსი მდგომარეობაა სხვა მაღაროებშიც.

შეიძლება იფიქრონ: გამონამუშევრების უწესივრო გადამაგრების მიზეზი საბაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი მოსახლეობის სტომატოლოგიური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაეკალა პოლიკლინიკის ოთახების განთავისუფლება და ბინადრეებისა ... ბინებში. მაგრამ, სამწუხაროდ, დადგენილება ქაღალდზე დარჩა, ხოლო მდგომარეობა უცვლელია.

ა. ჩიხლაძე — სოხუმის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თერაპიული განყოფილების გამგე, **ნ. ტოლმაჩოვა** — პარტორგანიზაციის მდივანი, **ვ. ძაჯაია** — ქირურგი-სტომატოლოგი, **შ. ჩაჩანიძე** — ექიმი-სტომატოლოგი, **თ. ბერულავა** — ოჩამჩირის რაიონის ბესლეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი, **შ. კაპანაძე** — რკინიგზის სოხუმის განყოფილების უფროსი რევიზორი, **ი. იზარაიტელი** — პერსონალური პენსიონერი.

ფარაჯინა ქაღალდი სასუქის ნაცვლად

სასუქი მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი პირობაა. მაგრამ ეს ოჩამჩირის რაიონის ყველა კოლმეურნეობის ხელმძღვანელს როდი ესმის. მაგალითად, სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობა მეჩაიეობის ერთ-ერთი მსხვილი მეურნეობაა რაიონში. მაგრამ ამაზე გამო, რომ პლანტაციებს ცუდად უვლიან, ფოთლად და საჭირო რაოდენობით არ შეაქვთ მინერალური სასუქები, ბოსავალსაც დაბალს იღებენ. აქ შარშან საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 2.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღეს. 666 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 563 ტონა ფოთოლი.

როგორ მუშაობენ წელს? ცუდად. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ტ. ბუთბას, რომელიც ამავე დროს პარტბიუროს მდივნადაც ითვლება (აქ თვეზე მეტია ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის წარმომადგენლის ჩამოსვლას ელოდებიან, რომ პარტბიუროს ახალი მდივანი აირჩიონ), ჩაის პლანტაციებში სასუქის შეტანა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია. ოფიციალური ცნობების მიხედვით ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება და ფოსფოროვანი სასუქების შეტანა შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს. როგორც გამოირკვა, სასუქები თითქმის ნახევარ ფართობზე არ ყოფილა შეტანილი. კოლმეურნეობას გასული წლის 1 ოქტომბრიდან „აფხაზსოფლტექნიკის“ რაიონული ბაზიდან გატანილი ჰქონდა მხოლოდ 77 ტონა ფოსფოროვანი სასუქი, ხოლო ცნობაში აღნიშნული რაოდენობის პლანტაციებისათვის საჭირო იყო სულ მცირე 117 ტონის შეტანა. აქ, როგორც ადგილზე კოლმეურნეებმა იხუმრეს, „ბოატუეს“ ჩაის პლანტაციები, სასუქები პლანტაციების ნაცვლად ქაღალდზე შეიტანეს. კოლმეურნეობა აჭიანურებს კუთვნილი სასუქების გატანას.

მინერალური სასუქების გატანისა და დანიშნულებისამებრ მოხმარების საქმეში ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ღვადის სუფოროვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქაც გასული წლის მოუსავლიანობა და გეგმის შეუსრულებლობა თავმჯდომარე ნ. კაციამ ძველ ხელმძღვანელობას დააბრალა, ხოლო იმაზე ვერაფერი თქვა, რომ გეგმით ნავარაუდევი 160 ტონის ნაცვლად ბაზიდან ფოსფოროვანი და აზოტოვანი სასუქები მესამედ-ც არა აქვთ გატანილი. ცნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ 71 ჰექტარ პლანტაციებში უნდა შეეტანათ სულ მცირე 56 ტონა ფოსფოროვანი სასუქი, ფაქტიურად კი კოლმეურნეობას მხოლოდ 38 ტონა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობა ჩამორჩება საგაზათხლო სამუშაოთა ჩატარებაში, აქ შემოშმბინის დღეს მინდვრებსა და პლანტაციებში არტელის წევრთა მეხუთედიც არ მუშობდა.

სოფელ ტამიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. რაცბას თავის სამუშაო კაბინეტში შევსულწარით, როგორ პარტბიუროს მდივან შ. პაპბასთან და აგრონომ შ. გადლიასთან ერთად ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს უფროსის ს. ალანიას სახელზე მომართვის ტექსტს წერდა. წერილში ჩამოთვლილი იყო ის სამუშაოები, რაც უნდა ჩატარდეს მიმდინარე გაზაფხულზე, მათ შორის დღეს ხვალ კოლმეურნეობაში — ციტრუსების და ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება; ძველი პლანტაციების მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება ფოსფოროვანი სასუქების შეტანით და ა. შ. ბოლოს ხაზგასმული იყო — პლანტაციები დავამუშავეთ, მაგრამ სასუქები არ შეგვიტანია მათ შესაძენად თანხების უქონლობის გამოო, და თხოულობდნენ ბანკიდან კრედიტის მიცემას.

სინამდვილეში კოლმეურნეობა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია. ეს გარემოება კარგა ხანია იციან როგორც ოჩამჩირის რაიონის, ისე აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და საშეურნეო ორგანოებმა. ამისათვის ოფიციალური წერილების წერა საჭირო არ არის. მაგრამ, როგორც თავმჯდომარემ განაცხადა, ამას იგი აკეთებს თავის დაზღვევის მიზნით. კომენტარი ზედმეტია.

მინერალური სასუქების გატანაში დაუშვებლად ცოდავენ აგრეთვე სოფლების კვატოულის, ათარის, აძიუბჟის, თხინის და რეკის კოლმეურნეობებში, სადაც თავმჯდომარეებად შ. ლომია, ა. კვიწინია, კ. გუმბა, მ. ბიგვავა, დ. ლაგვილავა და ე. ლოგუა მუშაობენ.

მსგავსი ფაქტებია აგრეთვე სოფლების მოქვის ცხაკაიას სახელობის, სოფელ ქოჩარის, სოფელ მერხეულის პუშკინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

ოჩამჩირის საწარმოო სამმართველომ, პარტიულმა კომიტეტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს მინერალური სასუქების დაჩქარებით გატანისა და ჩაის პლანტაციებში დროულად და საჭირო რაოდენობით შეტანისათვის.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რეიდი

თესვას მოუმზადებელი შეხვდნენ

ნაგვიანევმა თოვლმა ვერ გაუძლო გაზაფხულის სითბოს და წყლადქცეული შეემატა მდინარე რიონს, რომლის ქალები ერთწლიანი კულტურების უხვი მოსავლის ნამდვილი ბელელია. მხვნელ-მთესველები მინდვრად გავიდნენ სამუშაოდ. ადრე დილიდან გვიან ღამემდე არ წყდება ტრაქტორების გუგუნი. ისინი ეკუთვნის სამტრედიის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მექანიზატორები მტკიცე საფუძველს უყრიან მომდინარე წლის ბარაქიან მოსავალს.

რიონის ხიდს გასცდებით თუ არა, თვალში გეცემათ საგულდაგულოდ დამუშავებული ბოლნები, ალბინებული ბოსტნეული კულტურები. ეს ქალაქის კიკეიძის სახელობის კოლმეურნეობისაა (თავმჯდომარე თამარ თავაძე), რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

ასევე ქების ღირსია ბაშის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. აქ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სასახლოდ გაანადგონ მიმდინარე წლის ცალდებულებანი.

მიუხედავად ამისა, სამტრედიის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით თესვისათვის მზადებაში.

როგორც შემოწმებამ დაგვანახვა, მთელ რიგ კოლმეურნეობებში მზად არ არიან თესვისათვის. აპრილის პირველ დღეებში თესვა უნდა გაჩაღდეს, ხოლო სიმინდის, სოიის, ლობიოს თესლს ახლა დაიბნენ. ეს ითქმის გორდის გიგეშკორის სახელობის კოლმეურეობაზე. კოლმეურეობის თავკაცებმა (თავმჯდომარე ნ. ზერაგია, აგრონომი დ. ჩიქოვანი) დროზე არ იზრუნეს კარგი თესლის გამოყოფა-შენახვისათვის. მათ მიერ „შერჩეული“ 13 ტონა თესლი სავსებით უვარგისია. ამ კოლმეურნეობაში სამარცვლედ უნდა დათესონ სულ ცოტა 274 ჰექტარი სიმინდი. ამ დღეებში თესვა უნდა გაჩაღდეს, მაგრამ მხვნელ-მთესველები როგორ შეასრულებენ ამ დავალებას უთესლოდ? არა აქვთ აგრეთვე ლობიოს თესლი. ბარდა 10 ჰექტარზე უნდა დაეთესათ. არცერთი ჰექტარი არ დაუთესავთ. საკვირველია, გორდელ კოლმეურნეებს რატომ გადაავიწყდათ შარშანდელი მწარე მაგალითი, როცა ცუდი თესლისა და ცუდი მოვლა-პატრონობის გამო საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 6,1 ცენტნერი მოსავალი მიიღეს?!

უფრო საკვალო მდგომარეობაა ქუთაისის ციროვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც სათესლედ გამოყვეს არასტანდარტული, დაავადებული თესლი. 70 ცენტნერი ასეთი უვარგისი სიმინდის თესლი სოფლად მოსახლეობაში კარდაკარ დაარიგეს დადასარჩენად! ადგილზე არა აქვთ მრავალწლიანი ბალახების თესლი.

თესვა კარზეა მომდგარი. დროა გამოიღვიძოს ქუთაისის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე იონა ჩირგაძე).

ჯიხაშის წითელი ოქტომბრის, კულაშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები წელსაც უხეიროდ მუშაობენ. მათ გავახსენებთ შარშანდელ შედეგებს. ჯიხაშის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე 5,4 ცენტნერი სიმინდი მიიღეს, ხოლო კულაშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში — 5,6 ცენტნერი! აქედან საჭირო დასკვნები ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ.

სოიის თესლი საკმაო ოდენობით არა აქვთ ზედა ეფრის, გორმაღალასა და სხვა კოლმეურნეობებში, ვაზისუბნის მევენახეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. ძეძილეთის კოლმეურნეობაში სათესლე სოია პირუტყვს შეაჭამეს და თესლს ამბოდ დაიძებენ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში აპიანურებენ დასათესი ნიადაგის მომზადებას. მაგალითად, დედალაურის კოლმეურნეობას 155 ჰექტარის ნაცვლად მოხნული აქვს 90 ჰექტარი, ბესიაურის კოლმეურნეობას 19 ჰექტარი, გეგმა კი 95 ჰექტარს ითვალისწინებს. სუხჩის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას ეს სამუშაო შესრულებული აქვს 26 ჰექტარზე ნაცვლად 134 ჰექტარისა.

საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალ დონეზე მოწყობისათვის მთავარია მექანიზაცია, ტექნიკის გამოყენება. მაგრამ ზოგან ტექნიკას სათანადოდ არ უვლიან. ჩვენ ვნახეთ ქალაქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორის მისამბლები, გუთნები, სათესი მოწყობილობა ტალახში რომ ეყარა ღია ცის ქვეშ. ეს არ ეპატიება ამ კოლმეურნეობის გამოცდილ ხელმძღვანელს ა. წიქვაძეს.

ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. მანჯგალაძე) კანტორის ეზოში უწესრიგოდ ჰყრია სხვადასხვა სახის მანქანის ნაწილები, ტრაქტორის მისამბელები, რომლებიც იეანგება, უვარგისი ხდება. აქვე დგას „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, რომელიც გასული წლის ოქტომბერში შედგენილი აქტით „ჩამოუწერიათ“. ძირითადი ნაწილები „საქსოფლტექნიკის“ სამტრედიის განყოფილების მუშაკებს წაეღიათ.

აღსანიშნავია, რომ ამ კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა. ბევრი ცუღლუტი და უქნარა თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას. საგაზაფხულო სამუშაოთა ამ ცხარე დღეებში კოლმეურნეები ა. კალაძე, მ. მხეიძე, ქ. ლომაძე, ვ. ხუნდაძე, ლ. ბარათელი, ე. კახიანი და სხვები შემთხვევიდან შემთხვევამდე ჯამოდიან სამუშაოზე, ხოლო თ. წიქვაძე, ნ. ხუნდაძე, რ. წიქვაძე, ტ. ვაშაკიძე, ო. ლორთქიფანიძე, ა. ქუქალია სულ არ ეკარებიან კოლმეურნეობას, კოლმეურნეობის მთელი სიკეთით კი სარგებლობენ.

სამტრედიის საწარმოო სამმართველოს, პარტიული კომიტეტს, ყველა მშრომელის გადაუდებელი ამოცანაა დაძლიონ ჩამორჩენა და წელს უზრუნველყონ ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღება.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რეიდის მონაწილენი:

ვ. მუშაკუდიანი — პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე; **გ. ბახტაძე** — პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი; **ლ. ბახტაძიძე, ხ. დონდუა** — საწარმოო სამმართველოს მუშაკები; **მ. მელქაძე** — დაბა გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, **ვ. ნიკოლეიშვილი** — გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორი; **ბ. ჩხაიძე** — „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სულ რეიდში მონაწილეობა მიიღო 80 კაცმა.

უზეიმობა თუ უსულგულობა?

ზამთრის ერთ

მალალიდეურობისა და ოსტატობის დიდი მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური რეალიზმი ამტკიცებს ყოფიერებას, როგორც ქმედობას, როგორც შემოქმედებას, რომლის მიზანია ადამიანის ძვირფასესი ინდივიდუალური ნიჭის განუწყვეტელი განვითარება, რათა მან გაიმარჯვოს ბუნების ძალებზე, იყოს ჯანმრთელი და დღეგრძელი, ჰქონდეს უდიდესი ბედნიერება ცხოვრობდეს დედამიწაზე, რომელიც თავის მოთხოვნილებათა განუწყვეტელი ზრდის შესაბამისად სურს მთლიანად დაამუშაოს როგორც ერთ ოჯახად გაერთიანებული კაცობრიობის საუცხო სამყოფელი.

ჩვენ ვცხოვრობთ ბედნიერ ქვეყანაში, სადაც ბევრია სიყვარულისა და პატივისცემის ღირსი. ჩვენში ადამიანისადმი სიყვარული უნდა აღმოცენდეს — და აღმოცენდება — მისი შემოქმედებითი ენერგიის წინაშე გაოცების გრძნობიდან, ადამიანთა ურთიერთ პატივისცემიდან მათი უსაზღვრო შრომითი კოლექტიური ძალისადმი, რომელიც ცხოვრების სოციალისტურ ფორმებს ქმნის, პარტიისადმი სიყვარულიდან, რომელიც მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის ბელადი და ყველა ქვეყნის პროლეტართა მასწავლებელია.

მაქსიმ გორკი.

მაქსიმ გორკი. მხატვარი ზ. ლეჟავა.

ანთებული გული

მაქსიმ გორკი თვალით არასოდეს არ მინახავს. და მე ცხარებება ჩემი თანამედროვეებისა, მეგობრებისა, იმ ქართველი მწერლებისა, რომლებიც 1928 წელს თბილისში დახვდნენ გორკის, ესაუბრნენ მას, შეკხედეს არწივულ თვალებში და მისი შინაგანი ცეცხლის ნაპერწკლები სულში სამუდამოდ დაიტოვეს.

მე კი ერთი ფეხით ვერ ჩამოვუსწარი მას თბილისში.

მაგრამ მე, ისევე როგორც ყოველი ჩვენგანი, მუდამ მეტად ახლოს ვიცნობდი გორკის, ისე, როგორც კაცი იცნობს მოხუც მამას, ჭკვიანსა და ბრძენთა-ბრძენს: დიახ, ეს ასე იყო, გორკიმ გვასწავლა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ადამიანი.

აი რას ამბობდა ის:

„მე არ ვიცი არც ერთი ჭეშმარიტება, რომელიც ჩემთვის ადამიანზე ძვირფასი იყოს. ადამიანი — მთელი სამყაროა, და გაუმარჯოს მას უკუნითი უკუნისამდე“...

მან გვითხრა, თუ რას ნიშნავს სიყვარული დედისადმი:

„თაყვანი ვცეთ დედას, რომელიც დაუღალავად გვიძღვნის დიდებულ ადამიანებს. არისტოტელე შვილია იმისი, აგრეთვე ფირდოუსი, თაფლივით ტკბილი საადი და ომარ ხაიამი, მსგავსი საწამლავნარევი ტკბილი ღვინისა. ისკანდერი და ბრმა ჰომეროსი — სულ იმის შვილები არიან, მისი რძით გაზრდილნი. დედაკაცმა შემოიყვანა ისინი ქვეყანაში, როდესაც პატარები იყვნენ, არა უმაღლესნი ზამბახისა. დედათაგან გვაქვს მთელი ნეტარება ამ ქვეყნისა“.

მან გვასწავლა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს თავისუფლება:

„ადამიანის ენაზე არის მხოლოდ ერთი სიტყვა, რომლის შინაარსი ყველასათვის ცხადი და ძვირფასია, და როცა ამ სიტყვას ამბობენ, იგი ასე გაისმის — თავისუფლება“.

გორკი ცოცხალი აღარ იყო, როცა სამამულო ომი დაიწყო, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ მან გაგვზავნა ბრძოლის ველზე და ისიც გვასწავლა, რომ არ უნდა დავრიდებოდით არავითარ განსაცდელს, მკერდითა და შუბლით შევხვეთქებოდით თუნდაც შეუვალ კედელსაც კი, ვინაიდან, თუ იმ კედელს ოდნავი ბზარი მაინც დააჩნიე, კაცობრიობა იმ ბზარს ჭიშკრად გადააქცევს, გაივლის შიგ და წავა სინათლისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ.

დიახ, ეს იყო ცხოვრების ბრძენი მასწავლებელი, და მუდამ ასეთი დარჩება...

მაქსიმ გორკი ლიტერატურაში მოვიდა ღატაკთა, დაბეჩავებულთა და შეურაცხყოფილთა სამყაროდან. ბავშვობაშივე გაიარა მან კაპიტალისტური ჯოჯოხეთის ყველა განსაცდელი, სიღატაკისა და ობლობის ყველა ჭირსახდელი. არ დარჩენილა არც ერთი სატანჯველი იმ დროის რუსეთში, რომელსაც ჭაბუკი პეშკოვის თავზე არ გადაევლოს! ის იყო გამყიდველად ხატების მაღაზიაში და შეგირდად ხატების სახელოსნოში, ის იჭერდა და ჰყიდდა ჩიტებს, ის ცხოვრობდა სამადლოდ მეთევზეებთან, ის იყო ხელზე მოსამსახურედ გემზე, იყო ჭურჭლის მრეცხავად, ის შიმშილობდა, ეძებდა გამოსავალს, აწყდებოდა აქეთ-იქით, დადიოდა ქალაქიდან ქალაქში ათასეულ კილომეტრებზე. იმავე დროს მისი მშფოთვარე გონება ეძებდა ცხოვრების აზრს. ეს იყო ათასეული კილომეტრები მარტობის, ფიქრის, დარდის, შემთხვევითი ღამისთევების, ყველა წოდებისა და ყოველგვარი პროფესიის ადამიანებთან შეხვედრისა და მათთან საუბრების. მან მოიარა მთელი ვოლგისპირეთი, ჩრდილო კავკასია, ბესარაბია, უკრაინა, საქართველო. ასე შეისწავლა მან ცხოვრება, ასე გაიცნო მან ხალხი.

ის მკერდით სძლევდა ყველა დაბრკოლებას, რათა გაეკაფა გზა კულტურის მაღალი მწვერვალებისაკენ. ბავშვობიდანვე ის ხარბად ეწაფება ყველაფერს, რაც კი საუკეთესო შეუქმნია კაცობრიობის გენიას. სტუდენტი ვასილიევი, რომელიც ჭაბუკ პეშკოვს წიგნებს აძლევდა წასაკითხავად — პირდაპირ განცვიფრებული იყო იმ ზეგავლენით, რომელსაც ეს წიგნები მის სულზე ახდენდნენ. წიგნები ყოველდღე ზრდიდნენ მას, ამაღლებდნენ, საბრძოლველად აწრთობდნენ მის გრძნობას და გონებას; „არა იშვიათად მე ვტიროდი, — წერდა გორკი, — როცა ვკითხულობდი, ისე კარგად მიამბობდნენ წიგნები ადამიანების შესახებ, ისე ახლობელი და საყვარელი ხდებოდნენ ისინი, და მე, პატარა ბიჭი, ქანცგაწყვეტილი მძიმე მუშაობით, შეურაცხყოფილი გინებიდა და ირგვლივ მყოფთა ხეპრე საქციელით, ვაძლევდი ჩემს თავს საზეიმო აღთქმას, რომ როცა გავიზრდებოდი — დავეხმარებოდი ადამიანებს, რათა მათი ტანჯვა შემემსუბუქებინა“.

მხატვრული სიტყვის ოსტატთა შორის ლიტერატურის ისტორიაში კაპიტალიზმს არა ჰყოლია გორკიზე უფრო დიდი მტერი, სწორედ იმიტომ, რომ კაპიტალიზმი ფეხქვეშ თელავდა ყველა უწმინდეს და უდიდებულეს ადამიანურ გრძნობას.

გორკის პირველივე მოთხრობებში ისმის უძლიერესი პროტესტი ავბედითი სინამდვილის წინააღმდეგ. მწერალმა კაპიტალიზმს თავიდანვე ამომწურავი ფორმულა მოუძებნა, როცა ის მხეცს შეადარა. მოთხრობაში „პაპა არქიპი და ლიონკა“ მოხუცი არქიპი ლიონკას ასწავლის: „შენ სუსტი ბავშვი ხარ, ქვეყანა კი — მხეცია“. ეს კარგად იცის გორკის ყველა გმირმა. დიმიტრი (მოთხრობა „ტივებზე“) ამბობს მჩაგვრელთა მისამართით: „ეჰ, თქვენ ადამიანები კი არა, მგლები ხართ“.

გორკის პირველივე ნაწარმოებები მძაფრი რომანტიკული სუნთქვით იყო გამთბარი. ის თვითონ იყო ქარიშხალაც, თვითონ იყო მამაცი შევარდენიც, წინ რომ ეძახდა ადამიანებს. და, ვინ მოსთვლის, რამდენი გული აანთო ამ დაძახილმა, რამდენს გაუხსნა გზა და გამოიყვანა ბრძოლის ველზე უსამართლობასთან შესაჭიდებლად.

თვითმპყრობელობის გააფთრება გორკის წინააღმდეგ სავსებით გასაგები იყო. გორკის შემოქმედებაში მთელი სიმძლავრით იჩინა თავი რუსული ლიტერატურის შესანიშნავმა ტრადიციამ: ყოფილიყო მოწინავე მებრძოლი თავის ხალხის თავისუფლებისათვის; მებრძოლ რევოლუციონერთა ტიპები დახატა გორკიმ ჯერ ისევ პიესაში „მდაბიონი“, როდესაც ვენა გორკიმ წრე ადამიანებისა, რომელნიც სჯეროდნ რევოლუციის გამარჯვებას, აქ გვიჩვენა მან სახე რუსი ქალის ნილოვნასი, რომელიც უძლიერესი სახეა მთელ მსოფლიო ლიტერატურაში.

გორკის მშვენიერ რომანებსა და მოთხრობებში მკითხველმა ნათლად დაინახა ორი სამყარო — მკვეთრად დაპირისპირებული ერთიმეორისადმი, მომზადებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. ერთ მხარეს დგანან მტაცებლები — ილია არტამონოვი, რომელიც როგორც მგლის ლეკვებს, ისე წვრთნის თავის შვილებს — მოხვეჭისას; არაფერი ითაკილოთ, არაფერს მოერიდოთო („არტამონოვების საქმე“), ანანია შჩუროვი და ეგნატე გორდეევი, რომელნიც მშრომელთა ოფლით გალაღებულან („თომა გორდეევი“), და მრავალი სხვანი; მეორე მხარეს კი დგანან ადამიანები, აღსავსენი ბუნებრივი კეთილშობილებით და თავისუფლების უკვდავი რწმენით. ამ ორი კლასის ბრძოლა, მთელი პერიპეტიები ამ ბრძოლისა გორკის სახით პოულობს თავის ბრწყინვალე მემატიანეს.

ასე ესარჩლებოდა, ექომაგებოდა გორკი ადამიანს, ასე ჰგმობდა ის ყველაფერს უსამართლოს, ბნელს, უხეშსა და საზიზღარს, რაც ადამიანს ჩაგრავდა. აი ამიტომ არის, რომ ჩვენ მუდამ სიყვარულით წარმოვთქვამთ ალექსეი მაქსიმის-ძის სახელს; ჩვენ გვიყვარს ის ცრემლნარევი ხმა, რომელსაც ხშირად გაიგონებთ, უფრო სწორად, იგრძნობთ გორკის წიგნების კითხვისას; და ჩვენ იმასაც ვგრძნობთ, რომ ეს ვაჟკაცური ცრემლია, ცრემლი მებრძოლისა, რომელიც ესწრაფვის მოსპოს ტანჯვის სახსენებელი ამ ქვეყნად. გორკი ებრძვის ყოველგვარ ჩაგვრას, იქნება ის სოციალური თუ ეროვნული — ის მარტო ადამიანების მრსარჩლე როდია, ერებისა და ხალხების დიდი ქომაგიც არის.

გორკი თავის დიდი სულის ერთი ნახევრით აწმყოში ცხოვრობდა და მეორე ნახევრით მომავალში. ის ხედავდა არა მარტო იმას, რაც არის, არამედ იმასაც, რაც იქნება. აი ეს იყო და არის ერთი მთავარი თვისება იმ სოციალისტური რეალიზმისა, რომელსაც მაქსიმ გორკიმ დაუდო საფუძველი.

და ეს ახლებური, სოციალისტური რეალიზმი, დაფუძნებული გორკის მიერ, დიდად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. გორკის ფრთებქვეშ გაიზარდნენ მთელი თაობები, რომელთა შემოქმედება საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ყველაზე უძვირფასესს საუნჯეთა რიცხვს განეკუთვნება. მწერალთა მთელ ამ თაობებს გორკიმ შეუქმნა ტრადიცია, ღრმად მთაუნერგა საბჭოთა პატრიოტიზმის, მაღალი ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის იდეები. გორკის ტრადიციას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ეცოდენ დიდი როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველ ეტაპზე, რომ დიდ სამამულო ომში მწერალი მხარში ედგა თავის ხალხს და მასთან ერთად სჭედდა გამარჯვებას საძულველ მტერზე.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპების, პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპების ზეიმი იყო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ამასწინანდელი შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან, როცა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა — მწერლები პარტიის ჯარისკაცები არიანო. სწორედ ამ ჯარისკაცების დიდი მთავარსარდალი იყო მაქსიმ გორკი და ის მუდამ იდგება იმ სახელოვანი არმიის სათავეში, რომელსაც კომუნიზმისათვის ბრძოლის სახელოვან გზაზე უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ამოცანები აქვს დაკისრებული.

გიორგი ნატროშვილი.

როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ...

„გორკის მკაფიო იდეალი აქვს და ამ იდეალით აღჭურვილი იკვლევს ის თანამედროვე ცხოვრებას; რადგანაც ეს ცხოვრება მის იდეალს სრულიად არ შეეფერება, ამიტომ ერთსა და იმავე დროს მისი მოთხრობები მდიდარ პოეტურ სურათსაც წარმოადგენენ ცხოვრებისას და შეუბრალებელ სატირასაც. გორკის მიზანია დღევანდელი ცხოვრების ხაკლოვანებანი გადაუშალოს მკითხველს, ამ ცხოვრებას ძლიერი პროტესტი გამოუცხადოს და მიუთითოს მკითხველს, თუ სად არის ხსნა, რა არის საჭირო ცხოვრებისა და ადამიანის ასამაღლებლად. გორკის დიდი მნიშვნელობა და ორიგინალობა სწორედ ამაში მდგომარეობს: ის არ კმაყოფილდება მარტო ცხოვრების გაკიცხვით, როგორც შვრებოდნენ რუსეთის ყველა ბელეტრისტები და პოეტები. ის მიგვითითებს წამალზედაც.

გორკის გმირები, თუმც ყველანი რეალური პირნი არიან, თვით ცხოვრებიდან ამოღებულნი, თუმცა მათს დახასიათებაში გორკის რუსეთის მწერლობაში ტოლი არა ჰყავს, მაგრამ გორკის მნიშვნელობა მაინც ამაში არ მდგომარეობს. მან შთაბერა მომავლის სული თავის გმირებს, მათში გამოხატა დღევანდელი კაცობრიობის საუკეთესო და მასთან უსაჭიროესი, მომწიფებული მისწრაფებანი; ცალის ხელით გორკი აქცევს აწმყოს, მეორეთი ის აშენებს მომავალს, გვითითებს, თუ როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ და როგორი მომავალი უნდა შევქმნათ, და აი აქ არის გორკის ძალა და მისი ღრმა მნიშვნელობა. რუსეთის ბელეტრისტიკის უმეტესი, უძლური და უიმედო სევდა გორკის ნიჭმა მოძრავ, დაუდგრომელ, ძლიერ და იმედით აღსავსე სევდად აქცია; გორკი წინ მიისწრაფვის მთელი თავისი ძლიერი არსებით და იქითკენ ეზიდება ძლიერად კაცობრიობასაც“.

გაზეთი „კავალი“, 1901 წელი.

ჩინებული სიტყვები

სამოკალაქო ომის დროს გორკიმ დაწერა წინასიტყვაობა იტალიის ცხოვრებაზე შექმნილი თავისი ზღაპრების წიგნის ხელახალი გამოცემისათვის. იქ არის ასეთი სიტყვები: **„ადამიანებს ძალიან ხშირად და დაუინებით ეუბნებიან, ცუდები ხართო, და თითქმის სრულიად ივიწყებენ, რომ მათ, თუ სურვილი ექნათ, შეუძლიათ უკეთესებიც იყონ“.**

ჩემი აზრით, ეს სიტყვები ჩინებულია. და მე ეჭვი არ მეპარება, რომ ხელოვნის უმაღლესი ამოცანაა აღუგზნოს ადამიანებს ეს სურვილი უკეთესობისა. აქედან წარმოდგება ხელოვნის პასუხისმგებლობა თავისი ხელოვნებისათვის, პასუხისმგებლობა თანამედროვეთა წინაშე და, მაშასადამე, მომავლის წინაშე.

კ. ფედინი.

ეს მიძღვნილია დიდი მწერლისადმი

გამოფენა

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის მაქსიმ გორკის დაბადებიდან 95 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც მოწყობილია საქართველოს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. აქ წარმოდგენილი მასალები ასახავენ დიდი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

გამოფენა ოთხი განყოფილებისაგან შედგება. პირველი განყოფილება ეთმობა საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლის ვ. ი. ლენინისა და მაქსიმ გორკის ურთიერთობის გაშუქებას. აქ ნახავთ ლენინის მიერ გამოთქმულ აზრებს გორკის შემოქმედებაზე, პროლეტარიატის დიდი ბელადის პირად წერილებს გორკისადმი. აქვეა საინტერესო ფოტომასალები.

გამოფენაზეა აგრეთვე ასეთი თემატური განყოფილებები — „გორკის შემოქმედება“, „გორკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ“, „გორკი საქართველოში“.

კინოფესტივალი

თბილისის საბჭოთა არმიის ოფიცერთა საოლქო სახლის კინოთეატრში 24 მარტიდან 31 მარტამდე ეწყობა მაქსიმ გორკის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი, სადაც უჩვენებენ დიდი პროლეტარული მწერლის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილ კინოფილმებსა და ფილმსპექტაკლებს.

ფესტივალის გახსნის დღეს მაყურებლებმა ნახეს დოკუმენტალური ფილმი „გორკი“, რომელიც საინტერესოდ მოგვითხრობს დიდი მწერლის მღელვარე ცხოვრებასა და ძვირფას მემკვიდრეობაზე.

ფესტივალის პროგრამაშია კინოსურათები — „მალვა“, „ბარბაროსები“ (ფილმი-სპექტაკლი ორ სერიად), „თომა გორდეევი“, „ჩელკაში“ და „ვასა ჟელეზნოვა“.

კომუნისტი
მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 28 მარტი, 1968 წ.

ქართველი მწერლების კეთილი მეგობარი

დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა, დიდად უყვარდა საქართველო და ქართველი მწერლები. პირადი მეგობრობა ჰქონდა ეგნატე ნინოშვილთან, გოლა და შიო ჩიტაძეებთან, მიხა ცხაკაიასთან და სხვებთან. მან ხომ პირველად აქ, საქართველოში, აიდგა ფეხი, როგორც მწერალმა. თბილისის გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა პირველად მისი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“ (1892 წელს).

მალე გორკიმ საქვეყნოდ გაითქვა სახელი როგორც შესანიშნავმა შემოქმედმა, მაგრამ საქართველო და ქართველი ხალხი არასოდეს არ დავიწყებია. იგი სიყვარულით წერდა: „მხურვალედ მიყვარს ეს მშვენიერი ქვეყანა, გრანდიოზული სილამაზისა და ძლიერების განსახიერება, მისი დათოვლილი მთები და ხეობანი, ამღერებულ ჩქარ მდინარეთა ხმაურით სავსენი, და მისი ლამაზი, ამაყი შვილები“.

მაქსიმ გორკი შემდეგ საქართველოში სამჯერ იყო — 1898 წელს, 1903 წელს და 1928 წლის ივლისში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მაქსიმ გორკის სტუმრობა საბჭოთა საქართველოში.

ქართველმა მწერლებმა რომ შეიტყეს მაქსიმ გორკის გამომგზავრება საქართველოსკენ, შექმნეს სპეციალური შემხვედრი დელეგაცია და ყვავილებით დაუხვდნენ სადგურზე. გორკი სახეგაღიმებული მიეგება ქართველ მწერლებს და გადაკოცნა მეგობრები.

მეორე დღეს მიხეილ ჯავახიშვილმა, ტიციან ტაბიძემ, გიორგი ქუჩიშვილმა და სხვებმა გორკი წაიყვანეს კოჯრის საბავშვო ბაღში, დაათვალიერებინეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენა, იყვნენ მცხეთაშიც. მწერალი დიდად კმაყოფილი იყო ამ მოგზაურობით. საღამოს კი გორკი გამოვიდა ხელოვნების მუშაკთა სახლში მოხსენებით საბჭოთა მწერლის მოვალეობისა და დანიშნულების შესახებ.

საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს ქართველმა მწერლებმა მიხეილ ჯავახიშვილმა, ტიციან ტაბიძემ და სხვებმა, რომლებმაც გორკის სიტყვებს უწოდეს შთამაგონებელი ძალა საბჭოთა მწერლის შემდგომი მუშაობისათვის.

შემდეგ მაქსიმ გორკიმ მწერალთა სახლის ბაღში ქართველ საბჭოთა მწერლებთან ერთად გადაიღო სამახსოვრო სურათი, რომელიც დღეს იბეჭდება, სურათის დედანი დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

დ. ფუღლიანაშვილი.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ (სხედან) — ალ. აბაშელი, ტ. ტაბიძე, პ. ინგოროყვა, ნ. მიწიშვილი, მ. ორახელაშვილი, მ. გორკი, ს. თოდრია, გორკის შვილი მ. პეშკოვი, ვ. რუხაძე, (დგანან) — პ. კეშელავა, კ. კალაძე, ვ. ასრიბეკოვი, მ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე, ბ. ბუაჩიძე, ალ. სულავა, შ. რადიანი, ა. სიტკოვსკი, გ. კრეიტანი და გ. ქუჩიშვილი.

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ 19 კაცი დაშავდა და 1000 უსახლკაროდ დარჩა — ასეთია შედეგები ხანძრისა. მაგრამ ძლიერი მიწისძვრისა, რაც მოხდა ირანის დასავლეთ ნაწილში. დაზარალდა ამ რაიონის 30 სოფელი.

◆ ოსლოს კინოთეატრ „ჰიმლეში“ დაიწყეს საბჭოთა ფილმის „გატეხილი ყამირის“ ჩვენება. ნორვეგიის გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კინემატოგრაფიის ამ ნაწარმოებს. „ფილმი იმიტომ არის ასე ძლიერ წარმტაცი, რომ დარბაზში მყოფნი გრძნობენ, ყოველივე, რაც ეკრანზე ხდება, თვითონ ცხოვრებაა“, წერს გაზეთი „მორგენპოსტენი“.

◆ „რუსთა შესანიშნავი კონცერტი“, „რუსები ცხადყოფენ დიდებულ ნიჭს“ — ასეთი სათაურებით არის სავსე ავსტრალიის პრესის ფურცლები, რომელიც აღტაცებით ეხმაურება საბჭოთა მეგიოლინის ნელი შკოლნიკოვას, პიანისტის ლუბოვ ედლინას გამოსვლებს ავსტრალიაში. შკოლნიკოვასა და ედლინას შესრულება, აღნიშნავს გაზეთი „ჰერალდი“, გამოირჩევა „სისადავით, გამომხატველობითა და სრულყოფით“.

◆ გარშავაში ახალდაქორწინებულთათვის საბინანა მაღაზია, რომელსაც ეწოდება „ახალგაზრდა წყვილი“. მაღაზია დიდი პოპულარობით სარგებლობს.

◆ ბოვუარის კომუნის ტერიტორიაზე ჩამოვარდა და დაიმსხვრა საფრანგეთის სამხედროსაპაერო ძალების ვერტმფრინავი, რომელიც აფრინდა პარიზის მახლობლად მდებარე ბაზიდან. სამი კაცი დაიღუპა. ეკიპაჟის ერთი წევრი სერიოზულად დაშავდა.

პოლიციელთა თავდასხმა

ჰავანა, 27 მარტი. (საკდესი). ბუენოს-აირესის მახლობლად მდებარე ქალაქ ლა-პლატას პოლიცია თავს დაესხა არგენტინის კომუნისტური პარტიის თეორიული და პოლიტიკური ორგანოს ჟურნალ „ნუევა ერის“ სტამბას. კონფისკაციულია გამოცემის 10.000 ეგზემპლარი. როგორც პრენსა-ლატინას საგენტო ლა-პლატიდან იუწყება, სტამბის დირექტორი და სამი მუშა დაპატიმრებული არიან.

ბალი აგუნგის ფერფლში

ჯაკარტა, 26 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ბ. ივანოვი იუწყება: ვულკანის ჭუჭყიანი რუხი ფერფლის ფანტელები, თოვლის მსგავსად, ფარავს პალმის ფართო ფოთლებს, გზებს, ამწვანებულ ბრინჯის ყანებს ბალის კუნძულზე. ფერფლის სისქე ზოგან 20 სანტიმეტრსა და მეტს აღწევს. ფერფლმა დაფარა სურაბაია, ჯოიაკარტა და მეზობელი კუნძულის — იავის სხვა ქალაქებიც კი.

ეროვნული უბედურება უწოდა პრეზიდენტმა სუკარნომ ვულკან აგუნგის ამასწინანდელ ამოფრქვევას, რომლის მსგავსი ინდონეზიას არ ახსოვს კრაკატაუს 1883 წლის ამოფრქვევის შემდეგ. უკანასკნელი მონაცემებით, ვულკანმა უკვე ჩამარხა 1500-ზე მეტი კაცი, ბევრის ბედი არ არის ცნობილი, ათასობით დაკრილი ბალიელი მიიყვანეს ბალისა და იავის საავადმყოფოებსა და სამედიცინო პუნქტებში.

50 ათას ჰექტარზე მეტი ნაყოფიერი მიწა — ქოქოსის პლანტაციები, ხეხილის ბაღები და ბრინჯის ყანები ლავისა და ფერფლის სქელმა ფენამ დაფარა ვულკანის ახლო-მახლო რაიონებში.

დაინგრა ბევრი ჯებირი, ხიდი, გზა. საერთო ზარალი 1,5 მილიარდ რუპიას შეადგენს.

ინდონეზიის მთავრობა ახორციელებს სასწრაფო ღონისძიებებს, რათა დახმარება გაუწიოს დაზარალებულ რაიონებს.

აგუნგის თავზე კვლავ შავი კვამლის ღრუბელია. დროდადრო ვულკანის კრატერის აფეთქებათა ყრუ გუგუნი არეკავს ახლო-მახლო მიდამოებს. ადგილობრივ მეცნიერ მუშაკებს მიაჩნიათ, რომ უეჭველად მოხდება ვულკანის ახალი მძლავრი ამოფრქვევა.

მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 27 მარტი. (საკდესი). ჩვეულებრივზე უფრო ადრე გაღვიძათ დღეს დილით ცურუგა, ტოიოოკისა და ხონსიუს კუნძულის ამ რაიონის სხვა ქალაქების მცხოვრებთ. ისინი გაალაჟა ძლიერმა მიწისქვეშა ბიძგებმა, როგორც ცენტრალური მეტეოროლოგიური სამმართველო იუწყება, ახალი მიწისძვრის ძალა, იაპონიაში მიღებული შვიდბალიანი სკალის მიხედვით, ეპიცენტრის რაიონში შეადგენდა 5 ბალს. ოსაკასა და ნაგოიაში რეგისტრირებულია 4 ბალის ბიძგები, კიოტოში, ნაგანოსა და ოკაიამაში — 3, ტოკიოში — 2 ბალი.

ცნობებში, რომლებიც გადასცეს მიწისძვრის ეპიცენტრის მახლობელი რაიონებიდან, აღნიშნულია, რომ გაიბზარა სახლების კედლები და შეწყდა ელექტრობის მიწოდება. რკინიგზის ვაგონის გადანაცვლების გამო გზაში გაჩერდა რამდენიმე მატარებელი და დროებით შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა.

უცხოეთის ამბები ქრონიკები

შეწყდეს რეპრესიები

ლონდონი, 26 მარტი. (საკდესი). ვესტ-ინდოეთის სუვერენიტეტისა და მმართველობის ლონდონის კომიტეტმა დღეს პროტესტი განაცხადა მასობრივი რეპრესიების წინააღმდეგ, რასაც საფრანგეთის ხელისუფლები ახორციელებენ საფრანგეთის „საზღვარგარეთის დეპარტამენტ“ მარტინიკში (კარიბის ზღვის აუზი).

ამჟამად მარტინიკსა და გვადელუპაში, აღნიშნულია განცხადებაში, გაფიცულია 40 ათასი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მუშა.



ჩვენი მეგობრების ხელოვნება

მალხასიანის კონცერტზე

მრავალი წლის შემდეგ კვლავ გვეტუმრა მოძმე რესპუბლიკის გამოჩენილი პიანისტი ქალი, სომხეთის დამსახურებული არტისტი **ქეთი მალხასიანი,** რომელსაც თბილისელი მსმენელები ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან იცნობენ — მან ხომ თბილისის კონსერვატორია დამთავრა.

ქეთი მალხასიანის კონცერტი (25 მარტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში) უკვე თავისი სინტერესო პროგრამით იქცევდა ყურადღებას. მეჩვიდმეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნემდე, კლავესინის ეპოქის კომპოზიტორებიდან თანამედროვე ავტორებამდე — ასეთი იყო ამ პროგრამის დიაპაზონი.

ეპოქათა და სტილთა სხვადასხვაობა მეტად რთულ ამოცანას აყენებდა შემსრულებლის წინაშე, და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კონცერტანტმა მშვენივრად დაძლია ეს ბრძოლა.

მალხასიანს უფრო ლირიკული და რომანტიკული მუსიკა ემარჯება. მის შემოქმედებას ერთობ პოეტური იერი აქვს.

პიანისტმა მსუბუქად და მოხდენილად შეასრულა სკარლატის სონატა და ლისტის მიერ დამუშავებული შოპენის სამი პოლონური სიმღერა („სურვილი", „ნოქტიურნი" და „ნადიმი"). დიდი გრძნობითა და ალმაფრენით იყო შესრულებული აგრეთვე შოპენის სონატა სი-მინორი.

მძლავრი მარჯვენა მალხასიანისა საუკეთესოდ ფლობს ოქტავებს. ამიტომაც მან გირტუოზულად, ბრწყინვალედ შეასრულა პაგანინი-ლისტ-ბუზონის „კამპანელა" — პიანისტური რეპერტუარის ტექნიკურად ურთულესი ნაწარმოები.

შუმანის „კარნავალში" მეტი ეფექტისათვის მალხასიანი თავისებურ ფრაზირებასა და ნიუანსებს მიმართავს, რაც არღვევს კომპოზიტორის ჩანაფიქრს. კეთილად, გაუმართლებლად მიგვაჩნია მეტად აჩქარებული ტემპი ამ ნაწარმოების პირველ ფრაგმენტებში.

დიდი და უტყუარი გრძნობა ჩაექსოვა ჩვენმა სტუმარმა თანამედროვე სომეხ და ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესების შესრულებაში. საუკეთესოდ ღღერდა და დამსმენელთა დიდი მოწონებაც ჰპოვა ბაღდასარიანის „პრელუდიამ", თაქთაქიშვილის „პოემამ" და აბრამიანის „ეტიუდმა".

ს. ფანიანელი.

სურათზე: სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ქეთი მალხასიანი.

რამდენი წლისაა ოკეანე?

საინტერესოა ვიცოდეთ

რადიუმის დაშლის მიხედვით შესაძლებელია ეულკანების, ქედების, სასარგებლო წიაღისეულთა, უძველეს მცენარეთა გადმონაშთების ასაკის ზუსტი განსაზღვრა. ბევრი რადიოაქტიური იზოტოპი ბუნებაში თავისებურ საათს წარმოადგენს.

საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დროს რადიუმის ამ თვისების შესწავლას დიდი ყურადღება დაეთმო, სპეციალურ გეოლოგებმა და გეოქიმიკოსებმა გამოიკვლიეს რადიუმის დაგროვება ოკეანის წყლებში, შლამში, ოკეანის ფსკერს რომ ფარავს.

ოკეანეოლოგიური ექსპედიციები მუშაობდნენ წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში, უდიდეს ფართობზე ანტარქტიდიდან ეკვატორამდე. მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სინჯებმა. — უმცირესი ნაწილაკების ე. წ. „ანაწონმა", რომელიც მრავალი წლის მანძილზე დალექილი იყო ოკეანის ფსკერზე.

ათეულ ათასობით ტონა ოკეანის წყალი გადაამუშავეს მძლავრმა დანადგარებმა, რათა გამოეყოთ ნაწილაკებისაგან რადიუმი. და ეს არც არის გასაკვირველი. რადგან ოკეანის ცენტრალურ ნაწილში ათი ტონა წყალი ერთ გრამ ასეთ „ანაწონს" შეიცავს. ეს ძალზე ცოტაა: ყოველი ანალიზისათვის საჭიროა არანაკლებ ათი გრამისა.

გიგანტურ სამუშაოს ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია. უკვე პირველმა ანალიზებმა გვიჩვენეს, რომ დანალექში რადიუმის შემცველობა არათანაბარია. ოკეანის სიღრმეების რადიოაქტიურობა მაღალია. წიაღისეული თიხა, რომელიც მხოლოდ 4-5 კილომეტრის სიღრმეში გვხვდება, ასჯერ მეტ რადიუმს შეიცავს, ვიდრე ხმელეთის თიხოვანი ქანი.

რით არის გამოწვეული ასეთი მაღალი კონცენტრაცია?

რადიუმი ოკეანეში მდინარის წყლებს შეაქვს. შემდეგ მას მიიტაცებენ. „ანაწონის" ნაწილაკები და იწყებენ დალექვას. ოკეანის წყლების მრავალკილომეტრიანი სიღრმის გავლისას ნაწილაკები მდიდრდებიან რადიუმით და ილექებიან ფსკერზე. იგი რატომ არის, რომ ღრმა წყალქვეშა დანალექი, ე. წ. წიაღისეული თიხა გაცილებით უფრო რადიოაქტიურია.

ახლა, როდესაც გამოვლინებულია ოკეანის რადიუმის განაწილების კანონზომიერება, „რადიოაქტიური საათის" გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოდა. ამის მიხედვით ჩვენ ზუსტად განვსაზღვრავთ ოკეანის ასაკს, გამოვარკვევთ ფსკერზე ნალექის დაგროვების სიჩქარეს, გავიგებთ როგორ იცვლება ჩვენი პლანეტის კლიმატი.

უკვე მიღებულია წინასწარი მონაცემები. მაგალითად, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეები უკვე დაახლოებით ასი-ასორმოცდაათი მილიონი წელია არსებობენ.

ა. ლისიცინი.

სააგენტო „ახალი ამბები".

მოკლედ ყველაფერზე

● ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ ღორეშის ინტელიგენციის თაოსნობით ახლახან აქ კარგი საქმე გაკეთდა — ხაზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა რადიოგადაცემათა რედაქცია, რომელსაც ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი შ. მუხურაძე უძღვება.

ახლა რადიოგადაცემათა რედაქციის მედგმიგი თემებია გაზაფხულის სამუშაოები, ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

● ამ დღეებში ქუთაისელმა რკინიგზელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. ქუთაისი-1 სადგურის ტერიტორიაზე გაიხსნა სამტრედიის მუშათა მომარაგების განყოფილების სამრეწველო საქონლის მაღაზია.

ი. ბუხაიძე.

● დაბა საჩხერეში, ოქტომბრის ქუჩაზე აშენდა და ამას წინათ საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ორსართულიანი შენობა.

ახალი შენობის პირველ სართულზე მოთავსდა ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს აპარატი, ხოლო მეორე სართულზე — რაიონული საბჭოს აღმასკომი.

ა. ანასაშვილი.

ცნობები • ფაქტები • სპორტული ქრონიკა

საკონტროლო შეხვედრები

ჩვენი ქვეყნის „ა" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივებმა დაამთავრეს საიუბილეო ჩემპიონატისათვის მზადება. გამართეს უკანასკნელი საკონტროლო შეხვედრები და გაემგზავრნენ იმ ქალაქებში, სადაც უნდა მოაწყონ პირველი კალენდარული მატჩები.

აი საკონტროლო მატჩების შედეგები:

ხარკოვის „ავანგარდისა" და მოსკოვის „დინამოს" გუნდების ასპარეზობაში მოწინააღმდეგეებმა ახლოდან თითო ბურთის გატანა შეძლეს და მატჩი ფრედ დაამთავრეს. ბაკონი ერთიანეთს შეხვედნენ ადგილობრივი „ნეფტიანიკისა" და კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივები. შეჯიბრების ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა. გაიმარჯვა კიეველებმა.

წარმატებით ჩაატარეს მატჩი ერევნის „არარატის" ფეხბურთელებმა რიგის „დაუგავაასთან". ერევნელებმა მეტოქის კარში სამი ბურთი გიიტანეს, ისე რომ საკუთარში არც ერთი არ მიუღიათ. მოსკოვის ტორპედოელები თამაშობდნენ ყრასნოდარში ადგილობრივი „ყუბანის" წინააღმდეგ და დაამარცხეს მეტოქე 2:0.

საკონტროლო მატჩები შეიდგა აგრეთვე ოდესაში და კიშინიოვში, სადაც ადგილობრივმა გუნდებმა — „ჩერნომორეცმა" და „მოლდოვამ" დაამარცხეს მოსკოვის „ლოკომოტივი" და ვოლგოგრადის „ტრაქტორი" ანგარიშით 2:0, 2:1.

მარგალიტების ძიებაში

სურათზე: (მარცხნიდან) სელექციათმეთესლეობის კათედრის უფროსი ლაბორანტი ნ. ჩხიკვაძე, დოცენტები მ. სიხარულიძე და ე. ჩერნიში ლაბორატორიაში ხორბლის ახალ ჯიშზე მუშაობის დროს.

სინტერესო მუშაობა წარმოებს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექცია-მეთესლეობის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ღვაწლმოსილი მეცნიერი პროფესორი ლეონარდ დეკაპრელევიჩი.

სელექცია-მეთესლეობის კათედრამ განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია უკანასკნელ წლებში. მის მიერ გამოყვანილმა ხორბლის, სიმინდის, სოიის და სხვა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ახალ-ახალმა ჯიშებმა საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნა როგორც მოსავლიანობის გადიდების, ისე ხარისხის მიხედვითაც.

შარშან კათედრის მიერ გამოყვანილ იქნა საშემოდგომო ხორბლის 8-ბრიდული პერსპექტიული ჯიში „თბილისური", რომელიც გამოსაცდელად 25 ჰექტარზე დათესა მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში და ყვარლის რაიონის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში.

სელექცია-მეთესლეობის კათედრის მეცნიერი მუშაკების პროფესორ ლეონარდ დეკაპრელევიჩის, დოცენტ მ. სიხარულიძის, დოცენტ ე. ჩერნიშისა და პ. ნასყიდაშვილის მუშაობამ მარგალიტების ძიებაში ნაყოფი გამოიღო. „თბილისურმა" საუკეთესო მაჩვენებლები გამოამჟღავნა როგორც უხვმოსავლიანმა და ხარისხიანმა ჯიშმა. მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ნაკვეთზე საშემოდგომო ხორბლის ამ ახალმა ჯიშმა ჰექტარზე 31 ცენტნერ მარცვალს მიაღწია, „მაშინ როდესაც მის გვერდით დათესილმა სტანდარტული ჯიშის „დოლის პური 35-4"-ის მოსავალმა ჰექტარზე მხოლოდ 16 ცენტნერი მარცვალი მოგვცა.

„თბილისური" ყანგაამტანი და ჩაწოლის გამძლე ჯიშია. იგი ინტენსიური მიწათმოქმედების ხორბალია. მტკიცე. მკვრივი ღერო აქვს და, რაც მთავარია, საადრეო ჯიშია. „თბილისურის" მოსავალი 8-10 დღით უსწრებს „დოლის პურის 35-4"-ის მოსავალს. ეს შესაძლებლობას იძლევა ნაწვერალზე დათესოს სამარცვლე სიმინდი, და ისეთი საგვიანო ჯიშებიც კი, როგორიც არის „ჯამეთის თეთრი" და „ კრასნოდარი-5".

ნაწვერალზე დათესილი სიმინდი უხვმოსავლიანია. მაგალითად, ყვარლში „თბილისურის" ნაწვერალზე ჰექტარზე მიიღეს 42 ცენტნერი სიმინდი.

დიდი მუშაობა დასჯირდა სელექცია-მეთესლეობის კათედრის დოცენტს ე. ჩერნიშს, სანამ მიიღებდა სოიის ახალ ჯიშს, და აი უკვე მრავალი ცდის შემდეგ 1962 წელს დარაიონდა მის მიერ გამოყვანილი სოიის ახალი ჯიში „მოწინავე-7", რომელიც ჰიბრიდული ჯიშია და სიმინდთან შეთესვით ითესება, და არ ამცირებს სიმინდის მოსავლიანობას.

მარცვლეული კულტურების ახალი ჯიშების შექმნაზე ბეჯითად მუშაობენ აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები: გიორგი კაპატაძე, იაკობ საათაშვილი, პეტრე ნასყიდაშვილი და სხვები.

სელექცია-მეთესლეობის კათედრა მიღწეულით არ კმაყოფილდება. მისი კოლექტივი ახლა მუშაობს უხვმოსავლიანი ყანგაგამძლე საშემოდგომო ხორბლის მოლეკულაზე, აგრეთვე ამუშავებს საქართველოს პირობებისათვის შესაფერისი ახალი ჯიშების მეთოდიკის საკითხებს.

ვ. ზურაშვილი.

ბრძოლა მწვავდება



მოსკოვი, 27 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორ.). გადავა თუ არა შეტევაზე პეტროსიანი? აი კითხვა, რომელიც ერთნაირად აინტერესებდათ დამსწრე მაყურებლებსა და ოსტატებსაც. პეტროსიანის გუშმატკივრები ფიქრობდნენ, რომ დადგა ანგარიშის გათანაბრების დრო. მაგრამ მათ უფრო გამოცდილი დამსწრენი მიუთითებდნენ, რომ ჯერ კიდევ წინ 21 პარტიაა. თვით პეტროსიანი არ მალავს, რომ მას უჭირს მეტოქესთან შეჩვევა.

ამიტომ მესამე პარტია პეტროსიანმა თეთრებით მეტად მშვიდად წარმართა. მართალია, ეს არ ყოფილა „წასაგებ ანგარიშთან" შერიგება. მაგრამ დასაწყისში ბრძოლა არ გამწვავებულა. ახალინდური დაცვა საერთოდ ხასიათდება წყნარი პოზიციური თამაშით. უკვე მე-13-ე სვლაზე ლაზიერების გაცვლის შემდეგ დაფაზე დაახლოებით თანაბარი პოზიცია შეიქმნა. ბევრს მიაჩნდა, რომ ბრძოლა აქ დამთავრდებოდა ყაიმით, მაგრამ პეტროსიანმა განაგრძო თამაში მოგებებზე. ბოტვინიკის განლაგებაში ორი „დაკიდებული" ცენტრალური პიაი იყო, რაც მეტად ხელსაყრელია რთულ პოზიციაში. ენდშპილში კი მათზე შეიძლება იერიშის მიტანა. ეს გეგმა აირჩია პეტროსიანმა. მან მთელი თავისი ფიგურები გადაისროლა სწორედ ამ პაიკების წინააღმდეგ და ბოტვინიკს დიდი ოსტატობის გამომჟღავნებაა მოუხდა პოზიციის დასაცავად. ამასთან მსოფლიო ჩემპიონი დაცვასთან ერთად თვით უქმნიდა მუქარას თეთრების განლაგებას. მას შემდეგ, რაც ბოტვინიკმა გაცვალა თითო ცენტრალური პაიკი, მისი პოზიცია საკმაოდ გაძლიერდა და ალბათ შეხვედრაში ყაიმი უნდა აღნიშნულიყო. მაგრამ თამაშის უკანასკნელ, მეხუთე საათს შავებმა რამდენიმე არაზუსტი სვლა გაკეთეს. პეტროსიანმა შეძლო პაიკის მოგება.

პარტია გადაიდო. პეტროსიანს ეტლი და ოთხი პაიკი აქვს შავების ეტლისა და სამი პაიკის წინააღმდეგ. ამ მცირე მატერიალური უპირატესობის გამოყენება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ბოტვინიკის ძალები მეტად მოხერხებულად არიან განლაგებულნი. ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს საშინაო ანალიზს, რომელმაც უნდა დაადგინოს, აქვთ თუ არა მოგებაზე თამაშის საშუალება თეთრებს.

თეთრების 41-ე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო ასეთ პოზიციაში:

თეთრები: ტ. პეტროსიანი — მფ f3, ე. d3, პ.-ბი a3, b2, f2, g3.

შავები: მ. ბოტვინიკი — მფ f7, ე c4, პ.-ბი a4, c5, h5.

ხვალ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყობა მატჩის ამ პარტიის დამთავრება.

ა. კოტოვი.
გროსმაისტერი.

ვის შეუსვლებით?

საკავშირო ჩემპიონატისა და სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩებთან ერთად წელს ჩვენს ნაკრებსა და საკლუბო გუნდებს არაერთი საერთაშორისო შეხვედრა ექნებათ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

მკაცრი ზამთრის გამო ეროვნული ჩემპიონატები ბევრგან გაჭიანურდა, რამაც გავლენა მოახდინა სსრ კავშირისა და საზღვარგარეთელი გუნდების მომავალ საერთაშორისო მატჩებზე. მაგალითად, მთელ რიგ ქვეყნებს — ინგლისს, გფრ-ს, ჰოლანდიას, ავსტრიას, ბელგიას სამეცადინო კარა აქვთ ფიგურალურად კალენდარში ჩაეტიონ, გამოგზავნონ გუნდები.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლაზე და ადგილობრივ გუნდებთან თამაშზე მიიწვიეს ავსტანხმებები ბრაზილიის „ფლამენგოსთან", შეეციის „რასუნდთან", თურქეთის „გენჩლერთან", იაპონიის ნაკრებთან, პლოვდივის „ლოკომოტივთან". გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურ ნაკრებთან, კოპენჰაგენის „ბოლდკლუბენთან", კიკოვის „ეისლასთან" და სხვა გუნდებთან.

პირველი საერთაშორისო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებს ექნება მოსკოვში 23 მაისს შეეციის ნაკრებთან. ამავე ქვეყნების მეორე ნაკრები გუნდების შეჯიბრება შედგება კიევში. სეზონის მიწურულში საბჭოთა ნაკრები პირველად ეწვევა იტალიას, ხოლო შემდეგ გამოვა ესპანელებში მაროკოს ნაკრების წინააღმდეგ.

ჩვენს პირველ და მეორე, აგრეთვე იუნიორთა ნაკრებ გუნდებს შეხვედრები ექნებათ უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ფეხბურთელებთან.

ჰოლანდიელებთან მატჩის წინ

გუშინ თბილისის საცურავ აუზში გაიმართა ამხანაგური მატჩი წყალბურთში რსფსრ და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ანგარიშით 3:1. თბილისში 29 მარტს შედგება საერთაშორისო შეჯიბრება ჰოლანდიის ნაკრებსა და ადგილობრივ „დინამოს" გუნდებს შორის.

,,საქართველოს კომუნისტი" №3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — კომუნისტების მაღალი პასუხისმგებლობა; მებრძოლი, ქმედითი ანტირელიგიური პროპაგანდისათვის; **ი. მირცულავა** — სკკპ ორგანიზატორული როლის ზრდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში; **ვ. ესაიაშვილი** — რსფსრ კავკასიის კავშირის ისტორიიდან; **ნ. ფირცხალავა** — ქიმიური მრეწველობის როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

განყოფილებაში **კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი** გამოქვეყნებულია: **ს. ჯორბენაძე** — ურთიერთპატივისცემა და ბავშვების კომუნისტური აღზრდა საბჭოთა ოჯახის უმთავრესი ფუნქციაა.

განყოფილებაში **საერთაშორისო თემაზე** მოთავსებულია: **არ. ხელაშვილი** — დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური „ინტეგრაცია" მშვიდობის და პროგრესის მტერია.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე განყოფილებები: პარტიული ცხოვრება, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია და სხვ.

30 მარტს დილის **11** საათზე ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) შედგება **საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გაფართოებული პლენუმი.** პლენუმი განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1. რესპუბლიკური პრესა ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში;
2. რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების ქმედითობის შესახებ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ მისაღებად, გარდა ჟურნალისტთა კავშირის წევრებისა, მოწვეული არიან მუშა და სოფლის კორესპონდენტები, ძირეული პრესის მუშაკები.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ნადარბაგევის გმირები



თეთრად ელვარებენ მწვერვალები. მზეს ეფიცება მამაპაპური ხის სამფეხა სკამზე მჯდომი ობა. ზასეევი. შვიდ ათეულ წელს ითვლის იგი. დაღარულ სახეზე ღიმილი უკრთის... სხივჩამდგარი თვალი კვიისა-ხოხისაკენ მიუპყრია... აი ელმავალმა გაკვეესა, და ყოფილ მაღაროელს სახე გაბადრა. მეექვსე ჭდე გაკეთა ობამ თავის ჯოხზე. ეს ნიშნავს, რომ მაღნით დატვირთული მეექვსე ეშელონი მიადგა გამამდიდრებელი ფაბრიკის ბუნკერს...

გასაქერის მიდამოს და ეხატება თავისი ნარსული... აგონდება ობას, მამასთან ერთად რომ მოუყვებოდა კვიისა-ხოხის ალმართს. ჭაბუკს მთის მწვერვალისაკენ მიუწევდა გული...

— ბიჭო! — შესძახებდა მამა, — ზემოთ იარე, ყაზიაანთ არ დაგლანდონ, — და ვაეიც ჯაგიანებით გაბაგრძობდა გზას, — რომ ხუგაანთ სოფლიდან თვალი არავის მოეკრა.

მიაღწიეს ტყეს და კვიისა-ხოხის სიღრმეში ჩაინთქნენ... ახლა ხაშიში აღარ არის, აღარავინ დაინახავს. ანკარა წყაროს წყალს დაეწყინენ. მერე მამამ ცოტა ზემოთ შეუხვია და ვეებერთელა ხე გაშხლართა მიწაზე. შვილმა ტოტები შეასხეპა.

— ამ ხეეიდან რა ამოათრევს, მამა? — ჩაილაპარაკა ვაემა.

— რა ამოათრევს? აი აქ ცოტას გავთხრით და გზაც მზად იქნება. დაიწყეს ამობურცული მიწის გასწორება. ქვებს წკრიალი გაჰკრთდათ, მაგრამ მუშაობაში გართულნი ყურადღებას არ აქცევდნენ. უცაბთ კლდის ქანის არაჩვეულებრივმა ნატეხმა ორივეს ყურადღება მიიპყრო.

— ეს უბრალო ქვა არა ჩანს, ბიჭო, — თქვა მამამ.

— მაშ რა უნდა იყოს?

— აბა რა ვიცი, აბგაში ჩადე, ვინმეს ვაჩვენებ.

აბგა უჩვეულო ქვის ნატეხებით აავსეს და მუშაობით დაღლილნი შინისკენ გაუდგნენ გზას. ბრაზობდა ობა, მამამ მძიმე ქვები რომ ამკიდა სათრევად.

მეორე დღეს ყავდინი აბგითურთ სადღაც გაიმგზავრა... დაბრუნებისას ოჯახს გაუმხილა:

— მე მთავრობის ხალხთან ვიყავი, დიდხანს ათვალიერეს ჩემი მიტანილი ქვის ნატეხები, თქვეს, იმ ადგილას მადანი უნდა იყოსო.

სწრაფად გავრცელდა ყავდინის ალმოჩენის ამბავი. შორი სოფლებიდანაც მოდიოდნენ ამბის გასაგებად... დღეები გადიოდა, წლებმაც ჩაიარეს და... პატრონი არ აღმოუჩნდა განძს. მთიელები კი დასცინოდნენ ყავდინს:

— მალე ყავდინის მადანი გაგვამდიდრებს...

ყავდინმა ისე დაასრულა თავისი სიცოცხლე, ნანატრი არ აუსდა. ვერ მოესწრო, როგორ გაუხსნეს მკერდი კვიისა-ხოხს ახალმა ადამიანებმა და იქიდან გადმოალაგეს განძი. მათ შორის ერთი პირველთაგანი მისი შვილი ობა ზასეევიც იყო. ახლა პენსიონერია ობა, მაგრამ მისი საფიქრალი ისევ ეს მთებია, ისევ მაღაროელებია... სადაც არის პირველი ცალი დამთავრდება. ობას მესაიდუმლე ყაურბეგიც მოკვა. მოუყვება მაღაროს ახალ ამბებს...

— ეჰ, ნეტავი ახლა მეც ყაურბეგის ტოლი ვიყო. ჩემებურად დამაგერინა ბუღრი და... მოხუცს ისევე აგონდება მიწის ქვეშ მუშაობის პირველი დღეები... მაშინ ჯანი ერჩოდა. ასე ეგონა მთას ზურგზე წამოიკიდებდა, ბიჭები, სწორედ ეს ოფლი ახარებს ობას, ოფლით მოდის სახელი და დიდება, ქვეყნის ბარაქა...

ჩვეულებად აქვს — პირველი ცალი რომ მთავრდება, მაღაროელთა შესახვედრად მიემართება, რკინის დიდი ქარიდან მათთან ერთად გამოდის. ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს თვითონაც შახტში ყოფილიყოს, მათთან ერთად ემუშაოს...

შესასვლელთან ილია ზასეევს შეხვდა.

— გამარჯობა, ბიძია ობა!

— იცოცხლე, შვილო, როგორ არის საქმე?

— ჯერჯერობით კარგად.

— თუ სამთო საამქროში მიდიხარ, მეც წამიყვანე. კარგა ხანია შახტში აღარ ვყოფილვარ...

მეშახტის ტანსაცმელი მოირგო ობამ

რინგი მოკრივეებს მოელის

თბილისის სპორტის სასახლის საბიდაო ხალიჩა რინგმა შეცვალა.

დღეს აქ დაიწყება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოკრივეთა შესარჩევი შეჯიბრება, რომელმაც უნდა გამოავლინოს ფინალისტები.

თუ გადავხედავთ ასპარეზობაში მონაწილეთა შემადგენლობას, უთუოდ მწვავე და მრავალმხრივი ბრძოლის მოწმენი გავხდებით. სტუმართა რიგებში არიან სსრ კავშირის, ევროპისა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები, პრიზიორები — ა. აბრამოვი, ბ. ლაგუტინი, ა. ტუმინში, ს. სიგეო და სხვ.

ყურადღებას იპყრობს მძიმე წონის მოკრივეების ა. აბრამოვის, ა. ნურმახანოვისა და ი. ლანცეტის შეჯიბრება.

საქართველოდან ამ შეჯიბრებაში გამოვლენ ჯ. კვანტალიანი, ნ. ქიქავა, გ. ვარდანიანი და სხვ.

ნადარბაგევის გმირები

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

28 მარტი

12.00 — ახალი ამბები, 12.20 — კინონარკვევი, 12.30 — მხატვრული ფილმი „თეთრი ბალთა", 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — „მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლის „გლახის ნაამბობის" ტრანსლაცია, 20.55 — გადაცემა „მაქსიმ გორკი", 21.40 — კინონარკვევი, 21.50 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 22.05 — ახალი ამბები, 22.20 — მხატვრული ფილმი „სამხედრო დამნაშავე".

თეატრები

28 მარტი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მშვიდობისათვის (დღისით), ეკვნენი ონეგინი (საღამოს, მე-9 აბონ. მე-9 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — სასწაულმოქმედი (დღისით, 1-ლი აბონ. მე-4 სპექტაკლი), ქუთათურები (საღამოს, 25-ე აბონ. მე-4 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეურად კვდებიან (დღისით, 21-ე აბონ. მე-5 სპექტაკლი), ბაფთიანი ბოგონა (მე-7 აბონ. მე-4 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერი დღე (დღისით და საღამოს მე-7 აბონ. მე-7 სპექტაკლი), **სანკულტურის** — გრძნობათა ბიჭები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გლახის ნაამბობი (აბონ. № 19, 6 ს.).

28 მარტი

ქინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ვაკანტური ადგილი, **ოქტომბერი,** ისანი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კლუბი, დიდუბე** — სიყვარული სიმღერში (I-II სერია), **სპარტაკი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, ნაკადული** — „ორი ბატონი „N."

ბავშვი

29 მარტი

პირველი პროგრამით

06.40 — ბ. კვერნაძე. ცეკვა ფანტაზია. 08.30 — პოპულარული კამერული მუსიკის კონცერტი. 09.10 — ნაწყვეტები ქართული კინოფილმებიდან, 11.15 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, 12.15 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე. 12.25 — ქართული მუსიკის კონცერტი, 13.40 — მასნე. საბალეტო ფრაგმენტები ოპერა „სიდიდან", 17.15 — საფორტეპიანო დუეტები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „წიგნის თაროზე", 18.10 — მეზონგურე ქალთა ანსამბლის კონცერტი, 18.45 — ლირიკული სიმღერები, 19.30 — რადიორეიდი — „ავიამოქმედოთ გამოუყენებელი მოწყობილობა", 19.45 — მსუბუქი მუსიკა, 20.15 — ქართველ კომპოზიტორთა კამერული ნაწარმოებები, 20.30 — გადაცემა — „სტუმრად რუსთაველის სახელობის თეატრში", 21.00 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 23.30 — საესტრადო კონცერტი.

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ ლის მეურნეობის — 3.32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერი ლების — 9-73.24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

უე 07850